# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | პარასკევი 20 აგვისტო 1999 №158 (931) | ფასი 50 თეთრი

## შანდორ ვარგამ შეიხები დაარწმუნა:
# ძოძუაშვილი ვარგა
## რა აქვთ საერთო ჰოდლს, არდილესს და ძოძუაშვილს?

ნამდვილად მოულოდნელი ამბავი იყო, გასაკვირიც — რევაზ ძოძუაშვილი საუდის არაბეთში? თუმცა ეს უკვე ფაქტია. პირველი შეხვედრა 14 ივლისს ლუქსემბურგში შედგა. „უენესი" „სკონტოს" ეთამაშებოდა. ძოძუაშვილი არაბული კლუბის პრეზიდენტს მასალუტს ელაპარაკებოდა. 2 აგვისტოს ლატვიის ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსის ფურცელი ნახეს, საუდეთიდან ქართველ მწვრთნელს ატყობინებდნენ, ხვალვე სასწრაფოდ გამოფრინდი, 3 აგვისტოს გელოდებით, ისეთ პირობებს გთავაზობთ, ალბათ, უეჭველად დაგვთანხმდებიო. ძოძუაშვილს ფაქსი წაუკითხეს. ფედერაციაშივე ჩვენებური მწვრთნელი სამნახევარი საათი პრეზიდენტ გიუნტის ინდრიკსონს ელაპარაკა. ბოლოს შეთანხმდნენ — რევაზ ძოძუაშვილი იმავე სალამოს ერ-რიადში გაფრინდა. ინდრიკსონსმა თავად აუღო ბილეთი. მწვრთნელი ერთი დღე საემიროებში გაჩერდა — ვიზა დაუგვიანეს. თუმცა ერ-რიადში მაინც დროულად ჩავიდა, 3 აგვისტოს სალამოს ის უკვე მდიდრულ სასტუმროში იყო და აზიის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის „ალ იტიჰადის" მეპატრონე აჰმედ მასალუტთან თავის მომავალზე საუბრობდა. ცოტაც და, რევაზ ძოძუაშვილი „ალ იტიჰადის" მწვრთნელი გახდა. იგი კეთილად, მაგრამ, როგორც ლატვიელმა კოლეგამ მითხრა, დროებით დაშორდა ლატვიის ნაკრებს. მწვრთნელს ლატვიელთათვის დაუბარებია, აუცილებლად დავბრუნდებიო. გუშინწინ „ალ იტიჰადმა" ახალი თავკაცის ხელმძღვანელობით პირველი მატჩიც ჩაატარა. ისინი ამხანაგურად ეგვიპტის „ელ ზამალს" დაუხვდნენ და 6:4 გაიმარჯვეს. რევაზ ძოძუაშვილი სასტუმროში გვიან ღამით მიბრუნდა, გუშინ გამთენიისას კი „სარბიელს" ტელეფონით ესაუბრა



რევაზ ძოძუაშვილმა ევროპის ჩრდილოეთიდან ახლო აღმოსავლეთში გადაინაცვლა

**— ბატონო რეზო, ცოტა რამ კი ვიცით, მაგრამ უფრო დაწვრილებით გვითხარით, მაინც როგორ მოხვდით?**

— თავიდან მეც გამიკვირდა. საუდეთში ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ერთი ნაცნობი მენეჯერი, შანდორ ვარგა შემეხმიანა, მითხრა „ალ იტიჰადის" მწვრთნელის პოსტი თავისუფალია, რამდენიმე კანდიდატურაა მათ შორის ძოძუაშვილის გვარიცაა და შენი აზრი აინტერესებთო. იმ დღეს კონკრეტულად არაფერი ვუპასუხე. ორიოდ დღის შემდეგ ვარგამ ისევ დამირეკა, „ალ იტიჰადის" უფროსობა ჩქარობს, შენს სიტყვას ელიანო, თავად დამელაპარაკონ-მეთქი, მივუგე. იმავე სალამოს დამიკავშირდნენ არაბები. დიდხანს ვისაუბრეთ. ერთმანეთს ლუქსემბურგშიც შევხვდით. მერე კი ფაქსი გამოგზავნეს, ხვალვე ჩამოდიო. მეც საუდეთში ამოვყავი თავი.

**— თქვენს გარდა „ალ იტიჰადის" მწვრთნელობის კანდიდატები ვინ იყვნენ?**

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ რუმინელმა ანგელ იორდანესკუმ, როცა ლატვიის „სკონტო" ბუქარესტის „რაპიდს" სტუმრობდა, თავად მითხრა, საუდეთიდან დამირეკეს, სამუშაო შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვუთხარი, ხშირად პირობებს არ ასრულებენო. როგორც იმ დღესვე, სალამოს გავიგე, იორდანესკუსაც „ალ იტიჰადი" ეპატიჟებოდა.

**— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ პირობებს ასი პროცენტით შეგისრულებენ?**

— ჯერჯერობით ისეთი ვერაფერი შევამჩნიე აქაურებს, რამეში დავეჭვებულიყავი. ყველაფერი კარგადაა. ნათქვამს არ შეასრულებენ და ვინ დამიჭერს, თვითმფრინავში ჩავჯდები და...

იხილეთ მეორე გვერდი

## სევილიაში საქართველოს დროშაც ფრიალებს



REUTERS სპეციალურად

დღეს სევილიაში საგანგებოდ აგებულ ოლიმპიურ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნება მძლეოსანთა VII მსოფლიოს ჩემპიონატი. სევილიაში საქართველოს დროშაც ფრიალებს — ანდალუზიაში ჩვენი მძლეოსნებიც იასპარეზებენ. გუშინ ჩემპიონატის სარბიელი გამალებულ სამზადისში იყო

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

2

### იმიჯი არაფერია, წყურვილია ყველაფერი

„კოკა-კოლა" — უკვდავების წყალი ბოლნისის „სიონისთვის"

4

### 8 ყველაზე დიდი იმედგაცრუება



მათ შორის გიორგი ქინქლაძეც არის

7

### ჩრდილოეთის დედაქალაქი ნამდვილის წინააღმდეგ

პორტუგალიის ჩემპიონატის პირველივე ტურში დერბია: „ბოავიშტა" „პორტუს" უმასპინძლებს

11

### ინგლისური ფინალი უელსში?

უელსელებს ძალიან სურთ, ინგლისის ასოციაციის თასის ფინალს „მილენიუმის" სტადიონზე უმასპინძლონ

13

### პანტანი ვუელტას გაებუტა



# რა აქვთ საერთო ჰოდლს, არდილესს და ძოძუაშვილს?

დასაწყისი პირველ გვერდზე

**— იმ კანდიდატთა შორის თქვენ როგორ მოხვდით?**

— ვიცი? არაფერიც არ ვიცი. ეტყობა, ვინმემ თქვა ჩემს შესახებ, ან იქნებ კომპიუტერის საშუალებით გაიგეს ძოძუაშვილის მწვრთნელობის ამბავი.

**— მაინც რამ განაპირობა თქვენი საუდეთში გადაბარგება?**

— რამდენიმე ფაქტორი იყო. ყველაფერს ვერ ჩამოგითვლით. ერთი ის, რომ აზიურმა ფეხბურთმა დამაინტერესა, მეორე, ნაკრები და კლუბი დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან, კლუბში უფრო დაკავებული ხარ, ყოველდღიური სამუშაო გაქვს და ფეხბურთელებთან შეხვედრა თვეში ერთხელ არ გიხდება, მესამეც, აქ ყველანაირად ბრწყინვალე პირობებია. ფინანსურით დაწყებული...

**— დიდი ფული ტრიალებს?**

— საკმაოდ.

**— თქვენ რამდენს გიხდიან?**

— ორ იმდენს, რამდენსაც ლატვიაში. ზუსტ ციფრს ვერ დაგისახელებთ, სასტიკად აკრძალული მაქვს.

**— აზიური და ევროპული ფეხბურთი რომ შევადაროთ...**

— დიდი განსხვავება არაა. აზიელები უფრო ტექნიკით სჯობიან ევროპელებს. სამაგიეროდ, ტაქტიკური ცოდნით ჩამორჩებიან. ძირითადად აქცენტს შეტევაზე აკეთებენ. სამუშაო კი მართლაც ბევრი მაქვს. თანაც კარგია, მეტ გამოცდილებას მივიღებ, აქაურებიდანაც ვისწავლი რაღაც-რაღაცეებს. სამომავლოდ გამომადგება.

**— ჩემპიონატი როდის იწყება?**

— ოქტომბრის დასაწყისში. 4-ში გვაქვს პირველი თამაში.

**— ქართველი ფეხბურთელების წაყვანას ხომ არ აპირებთ?**

— ლევან სილაგაძის, ცეზარ ხუროძისა და არმაზ ჯელაძის გადმობირება მსურს, თუმცა ჯერჯერობით თავს ვიკავებ, აქ ისეთი კლიმატია, შეიძლება გაუჭირდეთ. როცა დავრწმუნდები, რომ ისინი საუდეთში თამაშს შეძლებენ, მერე უფრო ზუსტად გეტყვით. ჯერ ახალჩამოსული ვარ.

**— კლიმატი ახსენეთ და ბარემ იმასაც გკითხავთ, მანდაურ ფუნდამენტალისტთა რეჟიმს როგორ ეგუებით?**

— რა გზა მაქვს. ასეთია მწვრთნელის ცხოვრება. ახლა მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობ, სხვაზე არაფერზე.

**— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— სასტუმროს ნომერში ვარ. ჯერ ქალაქიც არ დამითვალიერებია ნორმალურად. ხან წიგნს წავიკითხავ, ხან ტელევიზორს შევხედავ.



რევაზ ძოძუაშვილი

**— სხვა?**

— სხვა რა? ალკოჰოლური სასმელები საერთოდ აკრძალულია, წამლად რომ გჭირდებოდეს, ვერ იყიდი.

**— აბა, რას სვამთ?**

— უალკოჰოლო ლუდს. ეგაა და ეგ.

**— ქალები?**

— რას ლაპარაკობთ... სასმელია აკრძალული და... ისე მრავალცოლიანობა კია ნებადართული.

**— ძალიან ცხელა?**

— თბილისში რომ საშინელი სიცხეა, თითქმის ისე.

**— მართალია, თითქოს ვლადიმერ გუცაევიც საუდეთში აპირებს ჩამოსვლას?**

— არ ვიცი. მე შევთავაზე, ჩამოდიმეთქი. ვნახოთ, მას სხვა ქვეყნებიდანაც ეპატიჟებიან.

*ეს გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა და დაამატა, საქართველოში ოქტომბრამდე ვერ ჩამოვალ, ვერც ლატვიელთა თბილისში მატჩს დავესწრებიო.*

*ჩვენ კი გუშინვე ფიფას ფეხბურთელთა და მწვრთნელთა მენეჯერს, წარსულში უნგრეთის ნაკრების წევრს, იმავე „ალ ეტიჰადის" ყოფილ მწვრთნელს, მანფრედ ჰოფერს შევხვდით.*

**— გვითხრეს, არაბები თქვენი საშუალებით დაუკავშირდნენ ძოძუაშვილს...**

— დიახ, ასეა. შუამავალი სწორედ მე ვიყავი. ლუქსემბურგში, ძოძუაშვილი და „ალ იტიჰადის" პრეზიდენტი აჰმედ მასალუტი ერთმანეთს შევახვედრე. მაშინ გადაწყდა ყველაფერი.

**— ისიც ვიცით, რომ ძოძუაშვილის გარდა კიდევ იყო რამდენიმე კანდიდატი. „ალ იტიჰადის" მწვრთნელად მაინცდამაინც ქართველი რატომ დანიშნეს?**

— მასალუტმა ჩემს სიტყვას ყური უგდო. თანაც, თურმე მასაც გაეგო ძოძუაშვილის კარგი სპეციალისტობის ამბავი. მის გარდა საუდეთის კლუბი რამდენიმე ცნობილ მწვრთნელს სთავაზობდა მუშაობას — გლენ ჰოდლი, ანგელ იორდანესკუ, მიროსლავ ბლაჟევიჩი, ოსვალდო არდილესი — მასალუტმა ყველას ძოძუაშვილი ამჯობინა.

**— მიზეზი? ფული?**

— არა. არაბებმა ყველას თითქმის ერთნაირი პირობები შესთავაზეს. უმნიშვნელო სხვაობით.

**— „ალ იტიჰადზე" რას გვეტყვით?**

— კარგი გუნდია, ერთ-ერთი უძლიერესი აზიაში. ახლა კი რასაც გეტყვით, ვფიქრობ, საკმარისი იქნება, რათა „ალ იტიჰადზე" წარმოდგენა შეგექმნათ — ამ კლუბს ადრე გერმანიის „ბაიერნის" ფანტასტიკური გუნდის მწვრთნელი კრამერი თავკაცობდა, რამდენიმე წლის წინ კი, „დანიური დინამიტი" ხომ გაგიგიათ, მისი შემქმნელი ზეპ პიონტეკი.

**კობა ინასარიძე**

# იმიჯი არაფერია, წყურვილია ყველაფერი

## მადლობა ღმერთს, რომ ბოლნისელია!

**იმიჯი** და ავტორიტეტი არ აკლია „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" ფირმას. ისე, გინდა საქართველოში ჩამოასხი ეს დალოცვილი სითხე, გინდ ბურკინა-ფასოში, ქართლოსის ჩამომავლებიცა და მუგუზალივით შავი აფრიკელებიც ერთნაირად ეტანებიან მას.

ყველა საქმეს თავიანი კაცი სჭირდებაო, ნათქვამია. „კოკა-კოლას" ქართული ფილიალის შეფი თემურ ჭყონია რომ ამ შეხედულების კონტექსტში მოვიხსენიოთ, არა მგონია, ვინმე შეგვედავოს. კაცი, რომელსაც ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი ლარი შეაქვს ქვეყნის ბიუჯეტში, უმდიდრესი ფინანსური კაპიტალის მფლობელი რომ იქნება, დღესავით ნათელია. უთავო და ფულიანი მეწარმე კი ისეთივე შეუთავსებელია, როგორც, მაგალითად, უფეხბურთო ბოლნისი. ალბათ, მიმიხვდით, საით ვუმიზნებ. თუმც ეს არაფერია იმასთან, რასაც საფეხბურთო კლუბ „სიონის" მესვეურები უმიზნებენ. მიზანში ამოღება, იცოცხლეთ, ძნელი არაა, მაგრამ ისრის მიმართულება ზედმიწევნით ზუსტად თუ არ გათვალე, შეიძლება იგი ბუმერანგივით უკან მოგიბრუნდეს. ბოლნისელები გულიანად მოეკიდნენ საქმეს, ათჯერ გაზომეს და... თემურ ჭყონიას მშობლიური ქალაქისადმი სიყვარულით გაჟღენთილ გულში მოარტყეს. „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" პრეზიდენტი ხომ წარმოშობით ქვემო ქართლის ამ ლამაზი კუთხიდანაა. ბოლნისში აქვს გატარებული ბავშვობა და სიყმაწვილე. თემურ სტეფანიასთან მეგობრობდა თურმე. თემურის სახელს „სიონის" საფეხბურთო არენა ატარებს. ამ გუნდითა და სტადიონით კი მთელი ბოლნისი სულდგმულობს.

...და ერთ რამედ ღირს „თემურ სტეფანიას" ტრიბუნაზე მოკალათება და ფეხბურთის ყურება. არა იმიტომ, რომ უფრო კარგად თამაშობენ, ვიდრე მცხეთასა თუ ავლაბარში. არა, უბრალოდ, რაღაც სხვა ეშხი აქვს იქ ბურთაობასაც და მის ცქერასაც. გრძნობ, ირგვლივ ყველა ფეხბურთით ცხოვრობს, უყურებ და ვერ იჯერებ, რომ სიონელები უსახსრობას განიცდიან. ისე დარბიან ქომაგებით გამხნევებულნი, გეგონებათ, დოპინგით არიან გაჟღენთილნიო. თუმც მარტო გულშემატკივართა მხარდაჭერაზე თუ მიდგა საქმე, ამის ამარა თანამედროვე ფეხბურთში ვარსკვლავებს ვერავინ მოწყვეტს, მხოლოდ შინაგან წყურვილს თუ დაიკმაყოფილებს ნაწილობრივ. ეს ბოლნისელებსაც კარგად ესმით. ფეხბურთზე შეყვარებულთა ქალაქის მკვიდრებმა ისიც კარგად უწიან, რომ ადრე თუ გვიან მიეჩვევიან მუდამ პირველ ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლი „სიონის" მოკრძალებულ იმიჯს და ერთ მშვენიერ დღეს გაუტყდებათ კოკაც. იმ დღის მოახლოებას კი ვერ აიტანს ბოლნისი, ცხოვრების აზრი დაეკარგებათ „ალას და ფანებს"...

გზა მაშინ უნდა მოძებნო კაცმა, სანამ ურემი გადაბრუნდება. კოკის გატეხვა კი მაშინ ღირს თუ იგი უკვდავების წყაროს მიგნებისას დაგემსხვრევა. საფეხბურთო ბოლნისმა მიაგნო ასეთ წყაროს, მისი პირიდან „კოკაკოლა" მოწანწკარებს. ზღაპრული გველეშაპის არ იყოს, ამ წყალსაც ჰყავს თავისი პატრონი, თუმცა იგი მწყურვალებს ლამაზთვალება ფერიას როდი სთხოვს სანაცვლოდ... თემურ ჭყონიას ადგილის დედა უხმობს და ისიც თანახმაა, ბავშობაში დაბრუნდეს. მასაც წყურვილი კლავს — მშობლიური ხალხისთვის სიამოვნების მინიჭების წყურვილი. იმიჯი არ აკლია „კოკაკოლას" პრეზიდენტს, არც ამქვეყნიური პატივი, მაგრამ ერთი სატელევიზიო რეკლამისა არ იყოს, იმიჯი არაფერია, წყურვილია ყველაფერი! მისი შესაძლო ნაბიჯიც ამის დასტური იქნება.



თემურ ჭყონია და კომპანია „სიონისკენ" გადაიხარა...

შესაძლო ნაბიჯი-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ საქმის ბოლომდე გადაწყვეტას, როგორც ჩანს, ბევრი დრო არ დასჭირდება. სულ მალე ალბათ, „სიონის" ერთ-ერთ სპონსორად თემურ ჭყონია და კომპანია მოგვევლინება. არა მგონია, რომელიმე ჭკუათმყოფს ეწყინოს ეს ამბავი. რა აჯობებს იმას, თუ დაბრჭყვიალებულ ქართულ საფეხბურთო სამყაროს კიდევ ერთი ფინანსურად შემდგარი კლუბი შეემატება და აღარ მოგვიხდება ფეხბურთელების უსახსრობაზე გამუდმებული წერა და ლაპარაკი.

ამ წერილის ოპტიმისტური ტონი იქნებ გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ, მაგრამ მერწმუნეთ, ეს პათოსი გუშინდელ რესპონდენტთან საუბარმა მიანიჭა. ბოლნისის გამგებელთან, ზურაბ ჯაფარიძესთან საუბარმა ცხადყო, რომ „სარბიელი" ამაოდ არ იუწყებოდა ზემოთქმული შესაძლო გარიგების თაობაზე. ჯერ კიდევ ორი კვირის წინ ვწერდით „სიონის" მზადების შესახებ — „დალიეთ კოკა-კოლა, ისიამოვნეთ ფეხბურთით!" თუმც ასე გადაჭრით ლაპარაკს ვერიდებოდით.

გუშინ კი... ბოლნისის გამგებელი ზურაბ ჭაფარიძე ხალისიანად (როგორც ყოველთვის) პასუხობდა „სარბიელის" კითხვებს.

— რამდენჯერმე ვიყავი თემურ ჭყონიასთან. ძალიან იმედიანად ვუყურებ ამ საქმეს. მოლაპარაკებები დასკვნით ფაზაში შევიდა. ბატონ თემურს სურვილი აქვს, დაეხმაროს მშობლიური ქალაქის გუნდს. აქ არაა ლაპარაკი კლუბის აქციათა მაღალი პროცენტის დაუფლებაზე, უბრალოდ, ამ კაცს სურს, კიდევ ერთი სიკეთე გააკეთოს და შემხვედრი ნაბიჯი გადმოდგას.

*— ვიდრე „კოკა-კოლა" საბოლოოდ მივა „სიონში" მანამდე გუნდი რითი სულდგმულობს?*

— როგორც იცით, კლუბს ფინანსურად გამგეობა და ფირმა „კვარციტი" ეხმარებიან. კაზრეთის საბადოზე მომუშავე ავსტრალიელ ბიზნესმენებთან დაკავშირებული ქართული მხარის წყალობით „სიონს" 25 ათასი დოლარი გადმოერიცხა. 10 ათასი უკვე დავარიგეთ, ფეხბურთელების დავალიანება დავფარეთ და რამდენიმე ახალწვეულსაც მივეცით გარკვეული თანხა. დარჩენილი 15 ათასის დახარჯვას სექტემბერ-ოქტომბერში ვაპირებთ. არც გამგეობა ყოფილა გულხელდაკრეფილი. სტადიონი შევაკეთეთ, პატარა მოედანიც გავაშენეთ „თემურ სტეფანიაზე". კლუბისთვის კარგი უცხოური ფირმის ავტობუსიც გვყავს, მაგრამ ძრავა აქვს დაზიანებული და მის შეკეთებასაც ვფიქრობთ. დავბეჭდეთ აბონემენტები რომლის 30 პროცენტიც უკვე გაიყიდა. აბონიმენტების სრულად რეალიზაციის შემდეგ 40 ათასამდე ლარის მიღებას ვვარაუდობთ. პირველ წრეში „სიონის" ფინანსურად უზრუნველბოფა უნდა შევძლოთ, ხელფასებისა და პრემიების გაუცემლობაზე ლაპარაკი არ უნდა იყოს.

*— პრემიები როგორ განაწილდება?*

— შინ მოგებაზე თითოეული ფეხბურთელი 100-100 ლარს მიიღებს, სტუმრად გამარჯვებისთვის კი 150-200 ლარს.

*— „კოკა-კოლაც" წამოგეშველებათ და...*

— აუცილებლად, ბოლნისი ამის ღირსია.

ბოლნისი და ბოლნისელები მართლაც ღირსნი არიან კარგი ფეხბურთისგან ტკბობის. მისი გამგებელიც ფეხბურთს თამაშობდა თავის დროზე და არც ის შეეგუება უფეხბურთოთ დარჩენილ რაიონს უხელმძღვანელოს.

დაბოლოს. ივნისში ერთი „სიონის" ფეხბურთელი შემხვდა და ცუდი ამბავიაო, მითხრა. რაზე მეუბნები-მეთქი? გუნდის ხელმძღვანელობას უთქვამს, კლუბის შენახვის თავი აღარ გვაქვს და, ალბათ, პირველი ლიგის ადგილს გავყიდითო. წარმოიდგინე, ბოლნისელები რა დღეში ჩავარდებიანო.

ძლიან კი მეწყინა ეს ამბავი, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ბოლომდე არ დავიჯერე. ისე, აშკარად შევატყვე რომ არც იმ სიონელს სწამდა, რასაც ამბობდა. ჰოდა, აგიხდეთ ყველაფერი კარგი. ქართულ გუნდებს კი „სიონის" უკვდავების წყალი (კოკა-კოლა) გადაგვხსმოდეთ.

**ხვიჩა სანიკიძე**



ბაქარი კვირიკაძის ფოტო

წლეულს მსაჯები ჩემპიონატისთვის გაცილებით უკეთ მოემზადნენ

# ბათუმი ჯანზეა და თბილისს ემუქრება

...ბათუმელები ცენტრში „დინამოს“ ნახევარზე ფლობდნენ ბურთს და სწორედ აქედან გაუჭრეს წინ კობიძეს. დინამოელი მცველები შეცდნენ, ერთდროულად ვერ ამოვიდნენ, მერე კი გამოედევნენ ახალგაზრდა ფეხბურთელს, მაგრამ გვიანღა იყო. კახამ ბრძოლით მაინც შეაღწია საჯარიმოში და არცთუ ძლიერად, მაგრამ ზუსტად დაარტყა. „დინამოს“ აქ დონდტმაც ვერ უშველა. ბელგიელმა პირველი ქართული გოლი იგემა, კობიძე კი შესაცვლელი შეიქნა. მცველებთან ბრძოლისას კახამ ტრავმა მიიღო.

ახალგაზრდა კახა კობიძე სანამ „ბათუმში“ მოხვდებოდა, ზღვისპირელთა მეორე კლუბში, „კოლეჯში“ თამაშობდა, თუმც დროდადრო, შარშანდელ სეზონში, როდესაც „ბათუმს“ შოთა ჭეიშვილი წვრთნიდა, შანსი თუ მიეცემოდა, ძირითადსაც აჭაშნიკებდა.

ახლა სხვა დროა, „ბათუმს“ იტალიელი ჯანი კარნევალე წვრთნის, მან კი კლუბის ხელმძღვანელობისთვის მიცემული პირობა აასრულა. აქცენტი ახალგაზრდებზე გადაიტანა და... კობიძემაც ახალი ჩემპიონატის პირველივე ტურში, თვით ჩემპიონის წინააღმდეგ ითამაშა, მერე რა, რომ შეცვლაზე შევიდა, „დინამო“ ხომ 9 წლის მერე სეზონის სტარტზე სწორედ მისი გოლით დამარცხდა.

კახამ ტრავმა მიიღო, ბელგიელ მეკარესთან შეჯახებისას ნეკნები დაუზიანდაო, გავრცელდა ხმები. ბუნებრივია, შევწუხდით და ფეხბურთელთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. სამაგიეროდ, „ბათუმის“ პრეზიდენტ თემურ ბეჟანიძეს ვესაუბრეთ.

— საბედნიეროდ, კახას ტრავმა სერიოზული არაა. გვეგონა, ნეკნის მოტეხილობა ჰქონდა, თუმცა ექიმებმა დამაიმედებელი დიაგნოზი დასვეს, დაჟეჟილობაა, მალე გაუვლისო. გუშინ მსუბუქადაც ივარჯიშა, ეგაა, მწვრთნელი ჯერ მის სრულ დატვირთვას ერიდება, ვიმედოვნებთ, მალე სავსებით გამოჯანმრთელდება.

ბათუმელთა პრეზიდენტს შალვა ხუჯაძეზეც ვკითხეთ, კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელი განაცხადში კი შეიყვანა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ათამაშებენ, შალვას კლუბთან, ტერნოპოლის „ნივასთან“ მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა:

— „ნივას“ ფაქსით ვუკავშირდებით, ალბათ, იცით, გვინდა, ხუჯაძე ერთი წლით ვითხოვოთ. ახლაც მათ პასუხს ველი. პირობებზეც შევთანხმდით. მხოლოდ ერთი პრობლემაა. „ნივას“ ქართველი პრეზიდენტი ავთანდილ მდინარაძე ამჟამად პირად საქმეზე ჩეხეთში იმყოფება და მის დაბრუნებას ველით. ალბათ, „ნივა“ ხუჯაძის ტრანსფერში (ნათხოვრობით) ხელს არ შეგვიშლის.

„ბათუმმა“ ჩემპიონატის პირველ ტურში „დინამო“ კი დაამარცხა, მაგრამ მეორეში ისევ თბილისურ გუნდთან უწევს შეხვედრა. კვირას, 22 აგვისტოს, „ბათუმი“ ეროვნულ სტადიონზე ლიგის დებიუტანტ „თბილისს“ ეთამაშება და არც მასთან აპირებს რამის დათმობას:

— სადაც „დინამო“ დავამარცხეთ, მოვალენიც ვართ, „თბილისთანაც“ არ შევრცხვეთ. გუნდი მატჩის წინა დღეს გამოემართება დედაქალაქისკენ — გვითხრა პრეზიდენტმა.

ასე რომ, „ბათუმი“ ჯანზეა და თბილისელებს ემუქრება.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ჯერ მხოლოდ ოცდახუთია

ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო, პირველი ტურიც მიილია. საქებარიც ვნახეთ და წუნი არაერთი დავაფიქსირეთ. ფედერაციაზეც ვთქვით და კლუბებზეც, მაგრამ მსაჯებზე კრინტი არ დაგვიძრავს.

ვერავინ იტყვის, ქართველი არბიტრები უნაკლოდ სჯიანო. ზოგი, გამოცდილია, ზოგიც ახალბედა. ერთი უშიშარია, მაგრამ მსაჯისთვის აუცილებელი ინტელექტი აკლია, მეორეს ის თვისება — მოჭარბებულიც კი აქვს, მაგრამ მშიშარაა. თუმც ყველანაირად გამობრძმედილ-გამოწრთობილებიც გვყავს და სწორედ მათ ზურგზე გადაივლის ჩემპიონატის სიმძიმე.

პირობები ყველასათვის ერთია, გინდა მსაჯობა, მაშინ გამოცდებიც უნდა ჩააბარო, ფიზიკური და თეორიული მზადყოფნა სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ამოსავალი წერტილია.

20 აგვისტოდან ქართველი მსაჯები ურეკში იმყოფებოდნენ ორკვირიან შეკრებაზე. დღეში სულ ცოტა, 12 კილომეტრზე დავრბოდით, საჭმელიც თავსაყრელი გვქონდა და დასასვენებელი პირობებიც ნორმალურიიო — ჰყვებიან არბიტრები.

შეკრებას სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის წევრები — ნიკა ამირეჯიბი და ადიკ დურსუნიში ხელმძღვანელობდნენ. ანატოლი მილჩენკოს ჯანმრთელობამ არ მისცა საშუალება, ურეკში ხელქვეითთა გვერდით ყოფილიყო. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის უფროსს გულმა შეუტია და იძულებული შეიქნა, თბილისში დარჩენილიყო.

მოკლედ, მოემზადნენ მსაჯები, ჩააბარეს თეორია, კუპერიც დროზე გაირბინეს და ფედერაციამაც ის 25 არბიტრი დაამტკიცა, რომლებიც პირველი ჯგუფის მატჩებს მოემსახურებიან:

1. თ. ლაცაბიძე (სურამი)
2. მ. მალალურაძე (თბილისი)
3. ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)
4. ა. შილაკაძე (თბილისი)
5. ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
6. ა. კრიჭაშვილი (თბილისი)
7. ა. მეშკოვი (თბილისი)
8. ა. ორდინიძე (ონი)
9. ი. კახიანი (თბილისი)
10. მ. ელიკაშვილი (თბილისი)
11. ზ. დოლიძე (თბილისი)
12. ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)
13. ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
14. გ. ასკაროლლი (ქარელი)
15. ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
16. პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
17. ლ. მიქელაძე (სამტრედია)
18. კ. მესხი (ზუგდიდი)
19. გ. ჩიგოგიძე (სამტრედია)
20. კ. გაბრიაძე (ქუთაისი)
21. გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)
22. ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)
23. შ. ბრეგვაძე (ჭიათურა)
24. ზ. ანიაშვილი (გორი)
25. დ. სანაია (სოხუმი)

როგორც სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტში გვითხრეს, ტესტირება და კუპერი არცერთ არბიტრს არ ჩავარდნია. ერთადერთი იყო ზუგდიდელი სერგო კვარაცხელია რომელსაც თურმე კუნთი დაეჭიმა, მაგრამ კუპერი მოგვიანებით უპრობლემოდ მაინც ჩააბარა.

ჩემპიონატის პირველი ტურის შემდეგ მსაჯების ნამოქმედარს დამაკმაყოფილებელი შეგვიძლია ვუწოდოთ. ფიზიკურად მართლაც მომზადებულან და არც მინდორზე დაუშვიათ მიუტევებელი შეცდომები, უმნიშვნელოზე კი ჯერ თვალი დავხუჭოთ. ვიქონიოთ იმედი, მეორედ აღარ გაიმეორებენ, თუმცა ოქმის შევსება და სხვა მისთანები მსაჯ-დელეგატს არ უნდა ეშლებოდეს.

პირველი ტურის ერთ-ერთი მატჩის არბიტრს ერთმა ფეხბურთელმა უთხრა, ოთხი წელია საქართველოში არ მითამაშია. ამ ხნის განმავლობაში ყველა და ყველაფერი შეიცვალა, ანაც გადასხვაფერდა, მხოლოდ თქვენ არ გეშველათ არაფერი, არ დაგადგათ საშველიო.

მთლად იმ ფეხბურთელს ვერ დავეთანხმებით. მსაჯიც ადამიანია და შეცდომის უფლებასაც ვერ წაართმევ, მაგრამ ფედერაციის მისამართით ერთსაც ვიტყოდით. 25-კაციან სიაში რამდენიმე მსაჯის გვარ-სახელი ვერ ამოვიკითხეთ და გაგვიკვირდა. ასაკი მათ დასაშვებზე ნაკლები აქვთ, გამოცდილება სანაქებოა და მათი ხელაღებით უგულებელყოფაც არ იქნება მართალი. როგორც შევიტყვეთ, ზოგი მათგანი სრულ ფორმაშია და გამოძახებას ელის.

როგორც ფედერაციაში შეგვატყობინეს გამოცდები კიდევ ჩატარდება და 25-კაციანი სიაც გაიზრდებაო. მალე რეგიონული ლიგაც დაგვეწყება და ორივე ლიგას 25 მსაჯი რომ არ ეყოფა ცხადია.

**მამუკა კვანტალიანი**

# ჩემპიონთა ლიგის ქართველი დირექტორი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომელი დავით პეტრიაშვილი ამავდროულად უეფაში, სამოყვარულო ფეხბურთის განვითარების კომიტეტის წევრიც რომ არის, ცნობილია.

ეტყობა, ჩვენებურის ცოდნას აფასებენ ევროპული ფეხბურთის მამები. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ უეფამ დავით პეტრიაშვილი ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევი ეტაპის მატჩზე — „სლოვანი“ — ანორთოსისი“ უეფას დელეგატად მიავლინა.

არ გასულა ორი კვირა და პეტრიაშვილი უეფამ დააწინაურა. დათო დღეიდან ჩემპიონთა ლიგის მატჩებზე რანგით მაღალი ჩინით ივლის. მას ჩემპიონთა ლიგაში „VENUE DIRECTOR“-ის თანამდებობა ებოძა და მის კომპეტენციაში მატჩის საორგანიზაციო საკითხების მოგვარება შევა.

დავით პეტრიაშვილი ამჟამად შვეიცარიაში, ქალაქ ნიონში იმყოფება, სადაც მსგავსი დირექტორების თავყრილობას აწყობს უეფა.

წარმატება ვუსურვოთ ჩვენებურს და ჩავთვალოთ, რომ ლიგაში ერთი ქართველი უკვე გვყავს.

**მამუკა კვანტალიანი**

# ოცდაოთხში წილისყრაა

გუშინდელ „სარბიელში“ XI ჩემპიონატის რეგიონულ ლიგაზე და საქართველოს 1999-2000 წლების თასის გათამაშებაზე გაუწყებდით. ვწერდით, თასის პირველი ეტაპის მატჩები 27-28 აგვისტოს ჩატარდება და მასში რეგიონულ ლიგაში მონაწილეობის მსურველი კლუბები თავიდანვე ჩაებმებიანო.

ახლა კი კენჭისყრის თარიღიც გაირკვა. პირველ ეტაპზე 32 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, 24 აგვისტოს, შუადღისთვის, უკვე ცნობილი იქნება იმ 16 წყვილის ვინაობა, რომლებიც სათასო სეზონს დაიწყებენ.

**გიორგი ვაშაკიძე**



ბაქარი კვირიკაძის ფოტო

საქართველოს სუპერთასი ბოლოს „ბათუმის“ კაპიტანმა მალხაზ მახარაძემ აღმართა

# სუპერთასი თანამდგომის მოლოდინში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სამსახურის ცნობით „დინამოსა“ და „ტორპედოს“ ხელმძღვანელობასთან გაიმართება მოლაპარაკებები საქართველოს სუპერთასის შეხვედრის ჩატარების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით სფფ აცხადებს კონკურსს სუპერთასის მთავარი სპონსორის გამოსავლენად.

ჩემპიონის და თასის მფლობელის სუპერდაპირისპირებას ჩვენში სამწლიანი ტრადიცია აქვს. როგორც ცნობილია, სუპერთასის პირველ და მეორე გათამაშებას გაზეთი „რეზონანსი“ აფინანსებდა. 1996 წელს „დინამომ“ „ბათუმი“ დაამარცხა (4:0) და ამ თასის პირველი მფლობელიც გახდა. მომდევნო წელს იგივე გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და კვლავ ჩემპიონებმა იმარჯვეს (4:1). რაც შეეხება მესამე გათამაშებას, მისი ჩატარება მთლიანად ფეხბურთის ფედერაციამ აიღო თავის თავზე. უცვლელ მეტოქეთა შერკინებაში კი „ბათუმმა“ ნავსი გატეხა და ჩემპიონი 2:1 დაამარცხა. წლეულს სუპერთასის შეხვედრის ჩატარება ერთობ დაგვიანდა (წინა წლებში სუპერთასის მფლობელი ახალი ჩემპიონატის წინ ვლინდებოდა). მიზეზი, რა თქმა უნდა, ფინანსებია. ჰოდა, სფფ-ც ტრადიციის შენარჩუნებას ცდილობს და ამიტომაც იწვევს ამ მატჩის სპონსორობის მსურველთ.

საკითხავი ერთია — შერკინებიან თუ არა ერთმანეთს „დინამო“ და „ტორპედო“ იმ შემთხვევაში, თუ ამ მატჩის დამფინანსებელი არ გამოჩნდა?

**პაატა კვანტალიანი**

# ყაზახი ხორგუაშვილი

გორელი ზურაბ ხორგუაშვილი, ადრე „დილაში“, „დინამოსა“ და „ლოკომოტივში“ ნათამაშევი თავდამსხმელი, ახალი ჩემპიონატისთვის მშობლიურ გორში ემზადებოდა და კლუბის ხელმძღვანელებსაც მისი დიდად ეიმედებოდათ, მაგრამ ხორგუაშვილმა ბოლოწამს საზღვარგარეთ წასვლა მოინდომა და ბევრისთვის მოულოდნელად ყაზახეთში ამოყო თავი.

ზურაბი ქალაქ ასტანის „ჟენისში“ მოწყობილა და ერთი მატჩის თამაშიც მოუსწრია. 16 აგვისტოს „ჟენისი“ საკუთარ მინდორზე ალმა-ათის ცსკა-ს შეხვდა და 6:0 მოუგო. ხორგუაშვილმა გოლი და საგოლე პასი მიითვალა.

აღსანიშნავია ისიც, რომ კლუბის პრეზიდენტი და „ჟენისის“ სულისჩამდგმელიც ჩვენებურია. ასტანელები თურმე გრიგოლ ლორიას დიდად ემადლიერებიან. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, ქართული საფეხბურთო დიასპორა ყაზახეთშიც გაჩნდეს.

**მამუკა კვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 8 ყველაზე დიდი იმედგაცრუება

## მათ შორის გიორგი ქინქლაძეცაა

*გუშინ საფეხბურთო ბაზრის ასმა ექსპერტმა 1998-99 წლების სეზონის რვა ყველაზე დიდი სასელექციო შეცდომა დაასახელა. იმ კლუბებს შორის, რომლებიც შეცდნენ, ოთხი ინგლისურია — „ნიუკასლი", „ჩელსი", „უიმბლდონი" და „ბლექბერნი", ორი ესპანური — „ბეტისი" და „ბარსელონა", ერთი ჰოლანდიური — „აიაქსი" და ერთიც შოტლანდიური — „რეინჯერსი". იმ ფეხბურთელებში, რომლებიც ყველაზე დიდი იმედგაცრუება გამოიწვიეს, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველიც მოხვდა — „აიაქსის" ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე. იგი ამ სიაში 15 ხმით მე-6 ადგილზე გავიდა.*

ასი სატრანსფერო დამკვირვებლიდან ოთხმოცდარვამ გასული სეზონის ყველაზე დიდ იმედგაცრუებად ბრაზილიული „სან პაულუდან" ესპანურ „ბეტისში" გადასული *დენილსონი* მიიჩნია. „ბეტისმა" ბრაზილიელ ფორვარდში 35 მილიონი დოლარი გადაიხადა და შემდეგ კი 22 წლის ფეხბურთელი ძირითადშიც ველარ ხვდებოდა.

სიაში მეორე ადგილი 70 ხმით „ბლექბერნ როვერსის" ინგლისელ ფორვარდ *კევინ დევისს* ერგო. „როვერსმა" მასში „საუთჰემპტონს" 7 250 000 ფუნტი გადაუხადა. შედეგად კი ის მიიღო, რომ კლუბი პრემიერლიგიდან გავარდა. დღეს 22 წლის დევისი შემადგენლობიდან გამოყვანილია და ტრანსფერზეა დაყენებული.

მესამე ადგილზე მსოფლიოს ჩემპიონების ყველაზე სუსტი თავდამსხმელი *სტეფან გივარში* გავიდა. ფრანგის წარუმატებლობა გლაზგოს „რეინჯერსში" 55 ექსპერტს არ დარჩენია უყურადღებოდ. გივარში შოტლანდიურ გრანდში „ნიუკასლიდან" მივიდა.

მეოთხე „უიმბლდონის" უელსელი ფორვარდი *ჯონ ჰარტსონია*. 24 წლის ჰარტსონში „უიმბლდონმა" „ვესტ ჰემ იუნაიტედს" 7 500 000 ფუნტი ჩაუთვალა. გამოკითხვაში მან 28 ხმა მოაგროვა.

მეხუთე ადგილზე „ჩელსის" იტალიელი ლეგიონერი *პიერ-ლუიჯი კაზირაგი* აღმოჩნდა — 21 ხმით. ვიალიმ კაზირაგი „ლაციოდან" 5 400 000 ფუნტად აიყვანა, თუმცა მეტწილად სათადარიგოთა სკამს აჩეხნებდა.

მეექვსე ადგილზე 15 ხმით *გიორგი ქინქლაძეა*: „აიაქსმა" მასში კლუბისთვის სარეკორდო თანხა, 5 500 000 ფუნტი გადაუხადა „მანჩესტერ სიტის". შედეგად გასული სეზონი ამსტერდამული კლუბისთვის, ისევე როგორც ქინქლაძისთვის, ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი გამოდგა. დღეს „აიაქსი" უშედეგოდ ცდილობს გიოს გაყიდვას.

მეშვიდე-მერვე ადგილები შესაბამისად 14 და 12 ხმით „ნიუკასლ იუნაიტედის" შოტლანდიელმა თავდამსხმელმა *დანკან ფერგიუსონმა* და „ბარსელონას" ჰოლანდიელმა ფორვარდმა *ბუდევინ ზენდენმა* გაიყვეს. ფერგიუსონში „ნიუკასლმა" 7 000 000 ფუნტი მისცა „ევერტონს", ზენდენი კი „ეინდჰოვენმა" გაყიდა და ჰოლანდიელი შარშან მხოლოდ სამჯერ მოხვდა კატალონიური კლუბის ძირითადში.

*ერთ დროს ქართული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავის, გიორგი ქინქლაძის ამ სიაში მოხვედრა მარტო ქინქლაძის პირადი ტრაგედია არ არის, ეს მთლიანად ქართული საფეხბურთო სამყაროს ბოლოდროინდელი ყველაზე დიდი წარუმატებლობაა.*

*ბრაზილიელი, ფრანგი, ინგლისელი, უელსელი, შოტლანდიელი, იტალიელი, ჰოლანდიელი ფეხბურთელებისგან განსხვავებით ქინქლაძის წარუმატებლობა ძალიან სერიოზული დარტყმაა. ქართველი ფეხბურთელის პრესტიჟის, ფასის და ადგილისთვის მსოფლიოს საფეხბურთო ბაზარზე. იგივე დენილსონის და კაზირაგის შერცხვენა კი მათი ქვეყნებისთვის არაფერს არ ნიშნავს, რადგან იტალიას, ბრაზილიას და თუნდაც იგივე შოტლანდიას — უელსს დიდი ხანია, გაჭრილი აქვთ გზა სატრანსფერო ბაზრისკენ. იქ „დახლიც" უდგათ, გამყიდველებიც ჰყავთ და არც მყიდველების ნაკლებობას განიცდიან.*

*თუ დააკვირდებით, ქართველი ფეხბურთელის მეტ-ნაკლებად სოლიდურ კლუბში მოხვედრა პირდაპირ საქართველოდან პრაქტიკულად შეუძლებელია. ბაზარი ქართველ ფეხბურთელს, როგორც ქართულ პროდუქტს, არ აღიარებს და არ ცნობს (ამის მიზეზებზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს, ეს სხვა წერილის თემაა). ქართველმა ბაზარზე მოსახვედრად აუცილებლად უნდა ითამაშოს „ალანიაში", „სკონტოში" და თუნდაც „შერიფში" (დიახ „შერიფში" და არა, ვთქვათ, „ბათუმში" ან „ტორპედოში"), რათა დასრულებულ პროდუქტად აღიარონ.*

*გიორგი ქინქლაძის ტრანსფერი იყო პირველი და ერთადერთი, რომელიც პირდაპირ საქართველოდან განხორციელდა. „დინამომ" ქინქი ჯერ „სიტის" მიჰყიდა, საიდანაც „აიაქსმა" წაიყვანა. ქართველი საფეხბურთო ჩინოვნიკების საუბედუროდ და მთელი ქართული საფეხბურთო სამყაროს სამწუხაროდ, ქართველ ფეხბურთელს, როგორც ქართულ პროდუქტს, ევროპულ ბაზარზე ვერც ქინქლაძის ტალანტმა გაუკაფა გზა.*

*ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ტალანტებით კვლავაც შევავსებთ „ალანიას", „სკონტოს" და „შერიფის" და სხვა ამგვართა ბიუჯეტებს.*

**სიმონ მენაბდე**




გიორგი ქინქლაძე




დენილსონი




კევინ დევისი




სტეფან გივარში




ჯონ ჰართსონი




პიერ-ლუიჯი კაზირაგი




დანკან ფერგიუსონი




ბუდევინ ზენდენი

**ბრაზილიელი** ნახევარმცველი არილსონი „გრემიოდან“ ესპანეთის „ვალიადოლიდში“ გადავიდა. ესპანური კლუბის წარმომადგენლის ხაიმე ხოსე კოჩოს განცხადებით, „ვალიადოლიდს“ არილსონი არ შეუძენია, უბრალოდ, „გრემიომ“ მათ ფეხბურთელი ერთი წლით ათხოვა. არაა გამორიცხული, სეზონის დასრულებისთანავე ესპანელებმა ბრაზილიურ კლუბს საჭირო სატრანსფერო თანხა გადაუხადონ და ფეხბურთელი შეიძინონ. 26 წლის არილსონს ბრაზილიის ნაკრებში შვიდჯერ უთამაშია. იგი კლუბის ნახევარდაცვის გასაძლიერებლად შეიძინეს, სადაც ვეტერანები ეუსებიო საკრისტანი, ხოსე ლუის პერეს კამინერო და ხუან ვისკაინო თამაშობენ.

**შოტლანდიის ლიგის თასი მეორე წრის მატჩები გაიმართა ოთხშაბათს: დანდი იუნაიტედი — როს ქაუნთი 3:1, დანფერმლაინი — ქუინზ პარკი 4:0, ისტ სტირლინგი — ფალკირკი 0:2, ქუინ ოფ საუსი — ჰართსი 1:3, რეით როვერსი — მოზერველი 2:2 (პენ 4:5).**

**ინგლისში** მალე კიდევ ერთი ძვირადღირებული ტრანსფერი განხორციელდება — ქვეყნის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ვულვერჰემპტონი“ დათანხმდა პრემიერლიგის კლუბ „ქოვენთრის“ ირლანდიელი ახალგაზრდა რობი კინი მიჰყიდოს 6 მილიონ გირვანქად ანუ 9,6 მილიონ დოლარად. შეგახსენებთ, რომ რობი კინი მხოლოდ 19 წლისაა და თუ ტრანსფერი შედგება, მაშინ იგი ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებულ ახალგაზრდა ფეხბურთელად იქცევა. „ქოვენთრის“ თავმჯდომარემ ბრაიან რიჩარდსონმა განაცხადა, კინი ნიჭიერი მოთამაშეა, დარწმუნებული ვარ, ჩემს კლუბს გააძლიერებსო.

**ლუქსემბურგის ჩემპიონატის თამაშები გამართა ოთხშაბათს: ქენესში — უნიონი 1:1, ავენირი — სპორტინგი 2:0, არისი — გრევენმახერი 1:1, ვილცი — შიფლენჟი 0:0, რუმელანჟი - დუდელანჟი 1:1, ოზმაიდი — მონდერლანჟი 2:1.**

**ნორვეგიელი** თავდამსხმელი სიგურდ რუშფელდტი ესპანურ „რასინგში“ გადავიდა. ესპანელებმა ტრონჰეიმის „რუსენბორგს“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 3,8 მილიონი დოლარი გადაუხადეს და იმთავითვე განაცხადეს, რომ თუ ვინმე რუშფელდტის შეძენას მოიწადინებს, 25,3 მილიონი დოლარის გაღება მოუწევს. შეგახსენებთ, რომ ნორვეგიელი თავდაპირველად პორტუგალიურ „ბენფიკაში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ ლისაბონელთა დაუდევრობის გამო ტრანსფერი ჩაიშალა. სიგურდ რუშფელდტი ნორვეგიის ბოლო ორი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია.

## ფეხბურთის რუკასთან



**ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველ სილვიო მარიჩს ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „ნიუკასლ იუნაიტედის“ დატოვება და სამშობლოში, ზაგრების „კროაციაში“ დაბრუნება სწადია. მწვრთნელმა რუდ გულიტმა სილვიო მარიჩი თებერვალში შეიძინა „კროაციადან“ და ხორვატებს სანაცვლოდ 3,5 მილიონი გირვანქა, ანუ 5,6 მილიონი დოლარი გადაუხადა.**

**გერმანიის** ჩემპიონმა, მიუნხენის „ბაიერნმა“, გუშინ გამოაცხადა, რომ აპირებს თურქეთში ჩასვლასა და სტამბოლის „ბეშიქთაშთან“ ამხანაგური — საქველმოქმედო მატჩის გამართვას, რომლის შემოსავალიც 17 აგვისტოს მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად გადაირიცხება. კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა, კარლ-ჰაინც რუმენიგემ დააზუსტა, რომ ეს შეხვედრა ტრადიციული საშობაო არდადეგების პერიოდში გაიმართება. მოგეხსენებათ, სამშაბათს მომხდარმა მიწისძვრამ 4300-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

**ბრაზილიის ჩემპიონატის მეხუთე ტური. ფლამენგო — კურიტიბა 2:1, გამა — სანტოსი 0:0, კორინთიანსი — ვიტორია 5:1, სპორტ რესიფე — პორტუგეზა 1:0, ბოტაფოგო რიბეირაო პრეტო — პალმეირასი 1:1, პონტე პრეტა — გუარანი 0:0, პარანა — ჟუვენტუდე 2:2, ბოტაფოგო — ატლეტიკო მინეირო 1:5, კრუზეირო — სან პაულუ 2:1, გრემიო — ვასკუ და გამა 0:0. ჩემპიონატის ოთხი თამაშიდან ოთხივეს მომგები „კორინთიანსი“ ლიდერობს 12 ქულით. მეორეზე ხუთ თამაშში მოპოვებული 11 ქულით „კრუზეიროა“, ხოლო მესამე ადგილზე 10-10 ქულით „ატლეტიკო მინეირო“ და „გუარანი“ არიან.**

**დანიის** საუკეთესო ფეხბურთელად პიტერ შმაიხელი დაასახელეს. სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვაში, რომელშიც ორასამდე კაცი მონაწილეობდა, პორტუგალიური კლუბის, ლისაბონის „სპორტინგის“ მეკარემ მდევრები გვარიანად ჩამოიტოვა. ჩვენის მხრივ გაცნობებთ, რომ ნაკრებში 112-ჯერ ნათამაშევი პიტერ შმაიხელი დანიის საუკეთესო ფეხბურთელად აქამდე ორჯერ აღიარეს — 1990 და 1993 წლებში. გასული სეზონი 35 წლის მოთამაშისთვის მართლაც ბრწყინვალე გამოდგა — „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად მან ინგლისის ჩემპიონატი, ინგლისის თასი და ჩემპიონთა ლიგა მოიგო. იმ რვა წლის განმავლობაში, რაც შმაიხელმა ინგლისურ კლუბში გაატარა, იგი ექვსჯერ გახდა პრემიერლიგის ჩემპიონი და ორჯერ ვიცე-ჩემპიონი. გარდა ამისა, ოთხჯერ მოიგო ასოციაციის თასი, ერთხელაც ლიგის თასი. შეგახსენებთ, რომ პიტერ შემაიხელი ევროპის 1992 წლის ჩემპიონია.

**ავსტრალიელი მცველი დენი ნეი კლუბ „პერს გლორიდან“ ინგლისის პრემიერლიგის გუნდ „ლიდსში“ გადავიდა. 24 წლის ცენტრალური მცველის სანაცვლოდ ინგლისელებმა 200 ათასი გირვანქა, ანუ 320 ათასი დოლარი გაიღეს, თუმცა თუ ფეხბურთელმა „ლიდსში“ თავი გამოიჩინა, პრემიერლიგელებს კიდევ ასი ათასი გირვანქის გაღება მოუწევთ. დენი ნეი სეზონისწინა შეკრებაზე „ლიდსთან“ ერთად ვარჯიშობდა და ინგლისური კლუბის მწვრთნელმა დევიდ ოლირიმ მას სწორედ მაშინ დაადგა თვალი.**



სარბიელის არქივიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შირერმა თქვა, რომ ვერ იტყვის

*პრემიერლიგის ახალ სეზონში „ნიუკასლ იუნაიტედის“ წარუმატებელმა სტარტმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ალაპარაკდნენ ყველაფერზე, მწვრთნელის, რუდ გულიტისა და კაპიტნის, ალან შირერის კონფლიქტის ჩათვლით. ამ საკითხებთან დაკავშირებით შირერმა პრესკონფერენცია გამართა, რომლის მონაკვეთებს აქ გთავაზობთ.*

**— ალბათ, საქმეები გაცილებით უარესად მიდის ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ.**

— ძალიან გულდასაწყვეტი ამბები ხდება. იმასთან შედარებით, რასაც ვვეგმავდით, საქმეები აშკარად სხვანაირად მიდის. რა გაეწყობა, სწორედ ახლა გვმართებს სულის უტეხობის გამოვლენა, შეუპოვრობა და კლუბში რალაც-რალაც გადაწყვეტილებების მიღება.

**— გუნდში რა სიტუაციაა, როგორ აღიქვამენ მოვლენებს?**

— როგორც გითხარით, ყველანი გულდაწყვეტილნი ვართ, მაგრამ ვერაფერი გაგვტეხავს. ჩვენ ვიბრძოლებთ, სანამ არ მოვიგებთ. იმედი მაქვს, რომ პირველი გამარჯვება სულ მალე გველის და იგი მომავალ დიდ და დიდ წარმატებებთან მიგვიყვანს.

**— ბოლო მატჩის გამო ხომ არ მოწვეულა რაიმე თათბირი?**

— იმედი მაქვს სწორედ გამიგებთ, კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებს შინაური პრობლემების საჯაროდ განხილვისგან თავის შეკავება გვთხოვა და მე, როგორც გუნდის კაპიტანი, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვასრულებდე პირობას.

**— გამოვა კი რამე თუ თქვენი და გულიტის ურთიერთობა არ გაირკვა? რა ხდება, მხარს უჭერთ რუდს?**

— უკვე გითხარით, რომ შინაურ ამბებზე საჯაროდ არ ვილაპარაკებ.

**— როგორც გუნდის კაპიტანი, შექმნილი სიტუაციით შეწუხებული ხართ?**

— როგორც კაპიტანი გიპასუხებთ, რომ კლუბმა ფეხბურთელებს შინაურ პრობლემებზე დუმილი გვთხოვა და მე ვალდებული ვარ კლუბის თხოვნას პატივი ვცე.

**— მაშ, იქნებ გულიტის, როგორც მწვრთნელის თავისებურებებზე გვითხრათ რამე?**

— აკი გითხარით, რომ უილბლო სტარტმა ყველას გული დაგვწყვიტა. მოსამზადებელ პერიოდში ყველანი ვფიქრობდით, რომ საწყის სამ ტურში სამ გამარჯვებას მოვიპოვებდით. ახლა გულიტი, მისი ასისტენტები და მთელი გუნდი ყველა ღონეს ვიხმართ, რათა მდგომარეობიდან გამოვძვრეთ. როგორც მოგახსენეთ, კლუბის სურვილებს პატივს ვცემ და როგორც კაპიტანი, ვითარების გამოსასწორებლად ყველა ღონეს ვიხმარ.

**— გულიტის უნარი, ფეხბურთელებს გამარჯვების სული შთაბეროს, ალბათ, უდავოა.**

— ამაზე წინა კითხვის დროს გიპასუხეთ.

**— ერთ-ერთ გაზეთში ეწერა, რომ გულიტი პიცერიაში სადილობს, რადგან „ნიუკასლის“ ფეხბურთელებთან ერთად სასადილოში არ შედის. ასეთი რამ დასაშვებად მიგაჩნიათ?**

— ასეთი სტატია არასდროს წამიკითხავს. რომელ პიცერიაზეა ლაპარაკი?

**— რესტორან „უნოზე“ თუ რაღაც ამდაგვარზე.**

— არ ვიცი. რა, მარტო სადილობს?

**— დიახ. მარტო ზის, რადგან მასთან ჯდომა არავის სურს.**

— მაშინ, სჯობს მას ჰკითხოთ.

**— მგონი, თქვენც უნდა იყოთ იმ რესტორანში ნამყოფი.**

— ადრე დავდიოდი.

**— არის მოსაზრება, რომ თქვენ გულიტის რჩეული, ლიბეროს შემცველი სისტემით თამაში არ შეგიძლიათ. თითქოს ასეთი განლაგების დროს გოლი ვერ გაგაქვთ.**

— ვინ თქვა, რომ გულიტს ლიბეროთი თამაში უყვარს? ჩვენ ასე არ ვთამაშობთ, თუმცა, სისტემას მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ უბრალოდ არ ვვარგოდით, მაგრამ იმედი მაქვს, ყველაფერი შეიცვლება.

**— ჯერ მხოლოდ სამი ტური გავიდა. გაგაკვირვათ პრესაში ატეხილმა აურზაურმა თქვენს წარუმატებელ სტარტს რომ მოჰყვა?**

— იძულებული ვარ ისევ გიპასუხოთ, რომ კლუბმა ფეხბურთელებს დუმილი სთხოვა და მე კლუბის თხოვნას პატივს ვცემ.

**— ოდესმე, ერთ მშვენიერ დღეს, „ნიუკასლის“ მწვრთნელობას ხომ არ აპირებთ?**

— არ არის გამორიცხული, მაგრამ ჯერ ადრეა.

**თარგმნა პაპუნა ძედიამ**

# გულშემატკივრები ფილმისთვის



სარბიელის არქივიდან

— გვესაჭიროება 50 ათასი შოტლანდიელი გულშემატკივარი, რომლებიც ფილმში ითამაშებენ — აცხადებს ცნობილი ჰოლივუდელი რეჟისორი რობერტ დუვალი, რომელიც თავის დროზე ოსკარითაც დაუჯილდოებიათ.

დუვალი იღებს ფილმს „თასი“, რომელშიც მოთხრობილია ერთი პატარა, არაფრით გამორჩეული შოტლანდიური კლუბის ისტორია, რომელიც ქვეყნის თასის ფინალში გადის. სხვათა შორის, ფილმში ალეკ ბოლდუინი და შოტლანდიური ფეხბურთის ვარსკვლავი ალი მაკკოისტიც ითამაშებენ.

რეჟისორის თქმით, მისი დიდი სურვილია, 5 სექტემბერს, გლაზგოში, „ჰემპდენ პარკზე“ ორმოცდაათი ათასი შოტლანდიელი ფანი შეიკრიბოს და ფილმისთვის საჭირო სცენები გადაიღოს. იმ დღეს გულშემატკივრები ნამდვილ თამაშს არ იხილავენ. უბრალოდ, რამდენიმე დამაინტრიგებელ კადრს გადაიღებენ.

პატარა კლუბის „კილნოკის“ მწვრთნელად ფილმში რეჟისორი დუვალი მოგვევლინება. ამასთანავე, გუნდის ლიდერსებას ალი მაკკოისტი დაიცავს, ხოლო ალეკ ბოლდუინი მდიდარ ამერიკელი ბიზნესმენის როლს შეასრულებს, რომელიც საბოლოო ჯამში კლუბს იყიდის.

დუვალი ფილმში გადასაღებად ცნობილ შოტლანდიელ მწვრთნელ სერ ალექს ფერგიუსონსაც დაუკავშირდა, რომელიც ეპიზოდური როლის თამაშზე დათანხმდა. ყაბულსაა რიგითი როლი ითამაშოს ცნობილი შოტლანდიელი კომიკოსი ბილი კონოლი.

— ჩემს კარიერაში ეს ყველაზე უცნაური რამაა, რასაც ოდესმე შევჭიდებივარ. ძალიან მინდა, ფილმი კარგი გამოვიდეს — აცხადებს დუვალი.

რეჟისორმა ფილმის რამდენიმე ნაწილი უკვე გადაიღო შოტლანდიის სხვადასხვა სოფლებში. დუვალის დაკვეთით დაიბეჭდა 50 ათასი ბილეთი, რომლებსაც იმ გულშემატკივრებს მიჰყიდიან, რომლებიც რეჟისორის დახმარებას მოიწადინებენ.

**ქოტე ვაიტაძე**

# ერთი საღამოს ფრაგმენტები



ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

ჩრდ. ირლანდია — საფრანგეთი 0:1. მასპინძელმა მარკ უილიამსმა ფრანგ მიკუს ბურთი აართვა

## ამხანაგური მატჩები

**ნორვეგია 1:0 ლიტვა**

1:0 ლუნდი (87)

ნორვეგია: ოლსენი (ბაარდსენი 46), ბერგდოლმო, ჰოფტუნი, ბერგი, ჰეგემი (ჰალე 46), ივერსენი, მიუკლანდი, ლეონარდსენი, ფლო, სკამელსრუდი (ლუნდი 66), სოლსკიაერი

**საბერძნეთი 3:1 სალვადორი**

1:0 ლიბეროპულოსი (20), 1:1 გარსია (52), 2:1 ლიბეროპულოსი (86), 3:1 ფრუსოსი (90)

საბერძნეთი: ატმაციდისი (ნიკოპოლოდისი 46), მავროგენიდისი, კასაპისი, დაბიზასი (პაპადიმიტრიუ 77), უზუნიდისი (ანცასი 46), ბასინასი (კაციაბისი 46), ზაგორაკისი (ლაკისი 46), ზიკოსი, კიპარისისი (ფრუსოსი 62), ლიბეროპულოსი, ნინიადისი (კონსტანდინიდისი 46)

**ბელგია 3:4 ფინეთი**

0:1 ვისი (31), 1:1 მარტენსი (41), 1:2, 1:3 იოჰანსონი (45, 53), 2:3 ვილმოტსი (58), 2:4 ლეჰკოსუო (62), 3:4 ე. მპენზა (70)

**ბელარუსი 0:2 რუსეთი**

0:1 ბესჩასტნიხი (38), 0:2 პანოვი (47)

**სლოვაკეთი 1:0 ისრაელი**

1:0 ფაბუსი (80)

**დანია 0:0 ჰოლანდია**

**პოლონეთი 1:2 ესპანეთი**

1:0 პაიტო (7), 1:1 მორიენტესი (54), 1:2 მუნიტისი (66)

**ჩეხეთი 3:0 შვეიცარია**

1:0 კოლერი (48), 2:0 ვოლფი (57ს.კ.), 3:0 ბარანეკი (90)

**ჩრდ. ირლანდია 0:1 საფრანგეთი**

0:1 ლასლანდი (67)

**ფარერები 0:1 ისლანდია**

0:1 გუდიონსონი (3)

**კვიპროსი 2:2 რუმინეთი**

1:0 მალეკოსი (14), 1:1 ლუპესკუ (45პ), 2:1 გოგიჩი (65), 2:2 ფილიპესკუ (75)

**შვედეთი 0:0 ავსტრია**

**უკრაინა 1:1 ბულგარეთი**

1:0 რებროვი (83პ), 1:1 ი. პეტკოვი (90)

**პორტუგალია 4:0 ანდორა**

1:0 რუი კოშტა (17), 2:0 ჟოაო პინტუ (35), 3:0 ფიგუ (45), 4:0 პედრო პაულეტა (67)

**ესტონეთი 2:0 სომხეთი**

1:0 კრისტალი (79), 2:0 ანისტე (90)

**უნგრეთი 1:1 მოლდოვა**

1:0 შებოკი (39), 1:1 კლეშჩენკო (65)

**ურუგვაი 5:4 კოსტა რიკა**

ევრო 2000-ის მეორე შესარჩევი ჯგუფის ექვსი გუნდიდან ამ სანაკრებო კვირაში მხოლოდ ორმა დაისვენა, ლატვიამ და მარად დასვენებულმა საქართველომ. დანარჩენებიდან სლოვენიამ და ალბანეთმა, მოგეხსენებათ, ლუბლიანაში ოფიციალური შეხვედრა ჩაატარეს, რომელიც მასპინძელთა გამარჯვებით, 2:0 დასრულდა, ხოლო ბერძნებმა და ნორვეგიელებმა, ამხანაგური მატჩები გამართეს.

კავალაში ბერძენთა სტუმარი სალვადორი გახლდათ. გაიმარჯვეს მასპინძლებმა, 3:1, მაგრამ საამისოდ დაცდა და შეხვედრის მიწურულს ფეხის გამოღება დაჭირდათ. თავიდან ყველაფერი ისე წარიმართა კავალელ გულშემატკივარს რომ გაეხარდებოდა: მე-20 წუთზე ნიკოს ლიბეროპულოსმა გახსნა ანგარიში, მაგრამ მეორე ტაიმის მე-7 წუთზე სტუმრებმა პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვეს და გილერმო გარსიამ ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ 34-წუთიანი პაუზა დადგა, რომელიც ისევ ლიბეროპულოსმა დაარღვია, ხოლო მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში ნიკოს ფრუსოსმა ბერძნების გამარჯვებას კიდევ მეტი დამაჯერებლობა შემატა.

მაშ ასე, 4 სექტემბერს, ნორვეგიის ნაკრებთან ოფიციალური და უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ საბერძნეთის ეროვნულმა გუნდმა ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. მოგეხსენებათ, ერთი ხნის წინ სანტიში მან მექსიკელებს სძლია 3:2. დღეს კი კავალას სტადიონი კიდევ ერთხელ შეიქნება საბერძნეთ-სალვადორის დაპირისპირების მოწმე.

ნორვეგიელებმა ამასობაში ლიტვას უმასპინძლეს. საბერძნეთთან ზემოხსენებული ოფიციალური მატჩის წინ, როგორც იცით, მათ გეგმა კინაღამ ჩაეშალათ. წინასწარი შეთანხმების თანახმად ნორვეგიელებს ოსლოში თურქეთისთვის უნდა ემასპინძლათ, მაგრამ ორიოდ დღის წინ მომხდარმა შემზარავმა მიწისძვრამ თურქ ფეხბურთელებს ჩრდილო ევროპაში მოგზაურობის განწყობა და საშუალება მოუსპო. ამიტომაც, უვარჯიშებლები რომ არ დარჩენილიყვნენ, ნორვეგიელებს სასწრაფოდ დასჭირდათ სპარინგ პარტნიორის შოვნა და იგი 24 საათში იშოვნეს — ლიტვა.

ნორვეგიამ შედარებით სუსტ მოწინააღმდეგეს 1:0 მოუგო. გოლი შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა მიოლდელმა ფორვარდმა ანდრეას ლუნდმა თავური დარტყმით გაიტანა. ლუნდს საგოლე პასი „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა, ოლე გუნარ სოლსკიაერმა ჩააწოდა.

ზემოთ ნახსენები, ლიტველთა შედარებითი სისუსტე, ალბათ, იმითაც გახლდათ განპირობებული, რომ ყოფილ საბჭოელთა მწვრთნელმა კესტუტის ლატოჟამ ძირითად შემადგენლობაში ექვსი დებიუტანტი ათამაშა. ნაუცბათევად შეკოწიწებული გუნდი მხოლოდ და მხოლოდ „ჟალგირისისა“ და „არდენას“ ფეხბურთელებით გახლდათ დაკომპლექტებული.

ბელფასტს, მომდევნო ოთხშაბათს, თბილისის „ლოკომოტივი“ უნდა ეწვიოს, ამ ოთხშაბათს კი მსოფლიოს ჩემპიონი, საფრანგეთის ნაკრები, ეწვია. „ლოკომოტივი“ უეფას თასზე „ლინფილდს“ უნდა შეხვდეს, ფრანგთა გუნდი კი ჩრდილო ირლანდიის ნაკრებს გაეჯიბრა. მსოფლიოს ჩემპიონებმა 1:0 მოიგეს, მაგრამ ძალიან უღიმღამო გუნდის შთაბეჭდილება დასტოვეს.

ფრანგთა წინა სტუმრობები ბელფასტში 1951 და 1988 წლებში შედგა. ორივე შეხვედრა ფრედ დასრულდა, პირველად 2:2, ხოლო მეორედ 0:0. ასე რომ ჩრდილოირლანდიელებთან ბელფასტში მიღწეული შედეგების თვალსაზრისით საფრანგეთის ნაკრების ახლანდელი სტუმრობა უდავოდ პროგრესული გახლდათ, თუმცა თამაშის ხარისხი, როგორც მოგახსენეთ...

შეხვედრის ერთადერთი გოლი, 67-ე წუთზე, ლილიან ტურამის პასით, ლილიან ლასლანდმა გაიტანა. შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლდათ, მსოფლიოს ჩემპიონთა მიერ შექმნილი ერთადერთი სახიფათო მომენტი ბრიტანელთა კართან, რომელთაც, თავის მხრივ, შესვენებამდე ორ წუთით ადრე ძელს გაარტყეს ბურთი.

მატჩის შემდეგ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა, როჟე ლემერმა განაცხადა, რომ მისი მიზანი ფეხბურთელების ძალისმიერ, ბრძოლისუნარიან გუნდთან შეხვედრა გავარჯიშება გახლდათ და იგი კმაყოფილია, რომ ყველაფერი გეგმის შესაბამისად წარიმართა.

მატჩის მსვლელობისას რამდენიმე უსიამოვნო ინციდენტიც მოხდა, რომელთა შორის ყველაზე ცუდი მე-60 წუთზე მარსელ დესაისა და ჯეიმს ქუინის წაკინკლავება გახლდათ.

„ჩვენ ცუდად ვითამაშეთ. ფეხბურთელების უმრავლესობა ჩვეულ დონეზე უარესად მოქმედებდა. ასეთი რამ კი არაფრით მაწყობს“ — ეს სიტყვები ბელფასტიდან საკმაოდ მოშორებით, დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა თქვა — ჰოლანდიელებმა დანიელებთან 0:0 ითამაშეს.

მატჩი ფრიად ძალისმიერი და ყვითელი ბარათებით უხვი გამოდგა. ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდი 77-ე წუთზე მოხდა, როდესაც ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა პატრიკ კლუივერტმა ხელსაყრელი პოზიციიდან როგორღაც მოახერხა ბურთის პიტერ შმაიხელის კარისთვის აცილება.

**მიხეილ სურგულაძე**

ბელგრადი

18 აგვისტო

52 600 მაყურებელი

**იუგოსლავია 0:0 ხორვატია**

იუგოსლავია: კოჩიჩი, მირკოვიჩი, ჯოროვიჩი (დრულოვიჩი 46), იოკანოვიჩი, ჯუკიჩი, ი. სტანკოვიჩი, ნადი, მიატოვიჩი, კოვაჩევიჩი (მილოშევიჩი 62), დ. სტანკოვიჩი, მიხაილოვიჩი

ხორვატია: ლადიჩი, კოვაჩი, იარნი, სოლდო, შტიმაცი, სიმიჩი, ასანოვიჩი, სტანიჩი, შუკერი, ბობანი (ბისკანი 75), იურჩიჩი

# ბნელი და ნათელი

იუგოსლავიისა და ხორვატიის ნაკრებების თამაშის წინ შიშმა დიდი თვალები დააჭყიტა, მაგრამ რასაც ელოდნენ იმასთან შედარებით არაფერი მომხდარა: მატჩის დამთავრების შემდეგ რამდენიმე ლოკალური ჩხუბი რა მოსატანია. მოკლედ, მიმომხილველებმა მოახერხეს და ყურადღება ფეხბურთზე გაამახვილეს. ორი ქვეყნის ნაკრებების ისტორიაში პირველი შეხვედრის შედეგი 0:0 გახლდათ ანუ იუგოსლავიელები ევრო 2000-ის მერვე შესარჩევი ჯგუფის ცხრილში პირველ ადგილზე არიან და ქულით უსწრებენ ირლანდიას, რომელსაც 1 სექტემბერს დუბლინში უნდა ეთამაშონ. ეს მატჩი, მოგეხსენებათ, ადრე უნდა გამართულიყო, მაგრამ მაშინ კოსოვოში მიმდინარე ომის გამო გადაიდო.

ხორვატია დღეისათვის მესამე ადგილზეა და შაბათს მალტას უნდა უმასპინძლოს.

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ სტადიონზე ატმოსფერო მეორე ტაიმის მეათე წუთამდე მშვიდი, უფრო სწორედ საფეხბურთო გახლდათ, მერე კი უეცრად ჩამობნელდა და ამ დროს ვიღაცამ, ვისი ვინაობაც დაუდგენელია, ერთ-ერთ ტრიბუნაზე ცრემლმდენი გაზი ისროლა, რამაც ჩოჩქოლი გამოიწვია.

რატომ გამოირთო სტადიონზე განათება, როდესაც ახლო-მახლო შენობებში ელექტროენერგია ჩვეულებრივ ანათებდა ნათურებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ სიბნელემ პოლიტიკური ვნებები შედარებით გაამძაფრა: მაყურებელმა მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგების ყვირილი დაიწყო, პრეზიდენტის, სლობოდან მილოშევიჩის გადადგომა მოითხოვა და კოსოვოს დაკარგვაში მას დასდო ბრალი.

ამ დროს იუგოსლავიური პოლიციის საგანგებო რაზმებმა სტადიონის როგორც შიგნით, ასევე შემოგარენში სრული საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადა. ისინი წინა დღის გავარჯიშებულები გახლდნენ, რადგან ქალაქის ცენტრში ანტისამთავრობო გამოსვლებთან მოუხდათ გამკლავება.



REUTERS ბელგრადიდან

მასპინძელი დარკო კოვაჩევიჩი (№9) და ხორვატი იგორ შტიმაცი

საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდა, სინათლე ჩაირთო და გაგრძელდა მატჩი, რომელშიც, როგორც გითხარით, გოლი არ გასულა.

„იუგოსლავიელებმა ჩინებული მასპინძლობა გაგვიწიეს. მატჩი უინციდენტო გამოდგა და მთავარი გამარჯვება სწორედ ეს გახლავთ. შედეგით კმაყოფილი გახლავართ, რადგან დღეს ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყნის ნაკრებს ვეთამაშებოდით“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა და დასძინა — „ვერც სინათლის გამორთვამ შეგვაშინა. მან იუგოსლავიელებზე და ჩვენზე ერთნაირად იმოქმედა“.

„მოგებაც გვაწყობდა და ფრეც“ — ბრძანა იუგოსლავიელთა ეროვნული გუნდის თავკაცმა ვუიადინ ბოშკოვმა — „ჩემმა ფეხბურთელებმა კარგად დაიწყეს, მაგრამ მერე ჩაეძინათ“.

იუგოსლავიელთა ნაკრების მცველმა, მიროსლავ ჯუკიჩმა თქვა, რომ ეს იყო ძნელი მატჩი ძლიერ მოწინააღმდეგესთან.

**მიხეილ სურგულაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| ირლანდია | 4 | 3 | 0 | 1 | 8:1 | 9 |
| ხორვატია | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| მაკედონია | 5 | 2 | 1 | 2 | 9:6 | 7 |
| მალტა | 6 | 0 | 0 | 6 | 3:22 | 0 |

21 აგვისტო: ხორვატია — მალტა; 1 სექტემბერი: ირლანდია — იუგოსლავია; 4 სექტემბერი: ხორვატია — ირლანდია; 5 სექტემბერი: იუგოსლავია — მაკედონია; 8 სექტემბერი: მალტა — ირლანდია, მაკედონია — იუგოსლავია; 10 ოქტომბერი: ხორვატია — იუგოსლავია, მაკედონია — ირლანდია.

# პორტუგალია

# ჩრდილოეთის დედაქალაქი ნამდვილის წინააღმდეგ

ამ ზაფხულს პორტუგალიურ ფეხბურთში მომხდარი ცვლილებებიდან ორს განსაკუთრებით გამოარჩევენ და ორივე მეკარეებთანაა დაკავშირებული. ერთი ისაა, რომ ჩემპიონთა ლიგის მომგები „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ ლისაბონის „სპორტინგში“ პიტერ შმაიხელი გადავიდა. მეორე კი „ბენფიკას“ ლეგენდარულმა ბელგიელმა მეკარემ, მიშელ პრიუდომმა მოთამაშის კარიერა დაამთავრა. ორიოდე კვირის წინ პრიუდომი ოფიციალურად დაინიშნა კლუბის დირექტორად საერთაშორისო ურთიერთობების განხრით. 35 წლის შმაიხელმა კი, რომელსაც იტალიური სერია A-ს რამდენიმე კლუბი იწვევდა, „სპორტინგთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა: „როცა „მანჩესტერში“ გადავედი, გუნდს ინგლისის ჩემპიონის ტიტული 25 წლის განმავლობაში არ ენახა. „სპორტინგში“ დაახლოებით ამდაგვარ ამოცანას უნდა შევეჭიდო“ — ამბობს შმაიხელი. პორტუგალიის პირველობაზე „სპორტინგმა“ ბოლოს 1982 წელს გაიმარჯვა. სულ კი ჩემპიონი თექვსმეტჯერ ყოფილა. საინტერესოა, რომ ამ ქვეყანაში სულ ოთხი კლუბია, რომლებსაც ლიგის არსებობის 65 წლის მანძილზე ჩემპიონობა მოუგიათ — ლისაბონის „ბენფიკა“ (30-ჯერ), „პორტუ“ (18), „ბელენენსეში“ (1) და „სპორტინგი“.

გასულ სეზონში „ჩრდილოეთის დედაქალაქმა“ (ასე უწოდებენ პორტუს) ნამდვილი ლისაბონი აშკარად დაჩაგრა. „პორტუმ“ და მისმა თანაქალაქელმა „ბოავიშტამ“ პირველ-მეორე ადგილები დაიკავეს, ხოლო „ბენფიკა“ და „სპორტინგი“ მესამე-მეოთხეს დასჯერდნენ. ახლა სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში „ბოავიშტაა“, შარშანდელი ჩემპიონატის სენსაცია. გუნდი, რომელიც შესაძლოა ჩემპიონთა ლიგაში მოხვდეს, ქვეყნის ჩემპიონი კი არასოდეს ყოფილა... „ვამაყობ ჩემი გუნდით. შარშანდელმა შედეგმა დამარწმუნა, რომ დიდი ნაბიჯი გადავდგამს უკეთესობისკენ. წლეულს მიღწეულის გაუმჯობესებას ვეცდებით. შემადგენლობის მესამედს ჩვენი საფეხბურთო სკოლის აღზრდილები წარმოადგენენ და ეს განსაკუთრებით მახარებს. „პორტუს“, „ბენფიკასა“ და „სპორტინგს“ ფინანსური შესაძლებლობებით ვერ გავუტოლდებით, ამიტომ გონიერი საკადრო პოლიტიკა უმნიშვნელოვანესი საქმე მგონია“ — ამბობს „ბოავიშტას“ პრეზიდენტი ჟოაო ლოურეირო, რომელიც ამ პოსტზე მამამისის ვალენტიმის საქმეს აგრძელებს. თბილისის „დინამოს“ ახლო წარსულში გამამწარებელს ასეთი შედეგი ბოლოს 1976 წელს ჰქონდა. გასულ ოთხშაბათს გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მესამე შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩი გასვლაზე მოუგო დანიურ „ბრონდბიუს“ (2:1) და ახლა ლიგაში თამაში თითქმის დაბევებული აქვს.



პიტერ შმაიხელი ჩემპიონობას „სპორტინგთან“ ერთადაც აპირებს

„პორტუმ“, რომელიც შარშან ზედიზედ მეხუთედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, წლევანდელი სეზონიც გამარჯვებით დაიწყო. სუპერთასზე ორი მატჩის ჯამში (2:1, 3:1) დაამარცხა თასის მფლობელი „ბეირა მარი“, რომელმაც წლეულს ქვედა დივიზიონში გადაინაცვლა. მეორე თამაშში ორი გოლი „პორტუს“ ბრაზილიელმა მარიო ჟარდელმა გაიტანა, კაცმა, რომელიც შარშან 36 გოლით პორტუგალიის საუკეთესო ბომბარდირი და „ადიდასის“ ვერსიით ევროპის „ოქროს ბუცის“ მფლობელი გახდა. მან 72 ქულა მოაგროვა და ათით გადაუსწრო ეინდჰოვენელ რუდ ვან ნისტელროის, რომელმაც ჰოლანდიის ჩემპიონატში 31 ბურთის შეგდება მოახერხა. რეგლამენტის მიხედვით, ევროპის რვა უძლიერეს ლიგაში (მათ შორის პორტუგალიურშიც) გატანილი ყოველი გოლი 2 ქულის ტოლფასია. სხვა ქვეყნებში კი ეს კოეფიციენტი 1,5 ან 1-ის ტოლია. სხვათა შორის, ამავე რეფერენდუმში 48 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა თბილისელთათვის ნაცნობმა „ბენფიკას“ ფორვარდმა ნუნუ გომეშმა. მან შარშანდელ ჩემპიონატში 24 გოლი გაიტანა. მთელი ზაფხულის განმავლობაში ნუნუ გომეშთან დაკავშირებით არაერთი მისი სხვა კლუბში შესაძლო გადასვლის ინფორმაცია გავრცელდა, მაგრამ „ბენფიკას“ ქომაგთა გასახარად, ის გუნდში დარჩა.

სეზონებს შორის „ბენფიკა“ ერთი სკანდალური ისტორიითაც გამოირჩა. „მეოთხედი საუკუნეა ფეხბურთში ვტრიალებ, მეგონა ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ ასეთ უმსგავსობას ვერასოდეს წარმოვიდგენდი“ — თქვა გუნდის შოტლანდიელმა მწვრთნელმა გრემ სუნესმა, ქუდი დაიხურა და წავიდა. სუნესს, რომელიც კლუბში 1997 წლის ოქტომბრიდან მუშაობდა, ჩემპიონატში დაკავებული მესამე ადგილი არ აპატიეს. თუმც მისი გადადგომის შესახებ ჭორები მანამდეც დადიოდა. მთავარ ბრალდებად კი სუნესს ის წაუყენეს, თითქოს მან გუნდში სუსტი ინგლისელი ლეგიონერები მოიყვანა, რომლებმაც „ბენფიკას“ ვერაფერი შემატეს.

მართლაც, ინგლისის თასის გათამაშებაში სამი უელსური კლუბი მონაწილეობს — „კარდიფ სიტი", „სუონსი სიტი" და „რექსჰემი". სხვათა შორის, „კარდიფ სიტი" 1927 წელს ინგლისის თასსაც ფლობდა — ფინალში უელსელებმა „არსენალს" 1:0 მოუგეს.

— სანამ ჩვენი სტადიონი შენდებოდა, რაგბიში მეტოქეებს „უემბლიზე" ვმასპინძლობდით. გვინდა ინგლისელებს ამისთვის მადლობა გადავუხადოთ. ახლა ისინი უნდა გვესტუმრონ — განაცხადა გრიფიტსმა.

ირაკლი ილაშვილი

## იტალია

### თასის I ეტაპი. II ტური

ლეჩე — ტერნანა 1:1; ფ. ანდრია — ლუკეზე 1:3; ჩეზენა — სავოია 1:0; სამპდორია — პალერმო 4:1; ემპოლი — ჯენოა 1:1; ლუმეცანე — მონცა 2:2; პისტოიეზე — ატალანტა 0:3; კრემონეზე — კიევო 0:1; რეჯინა — გუალდო 3:0; ტრევიზო — კოზენცა 2:1; ფერმანა — სალერნიტანა 2:5; ნაპოლი — კომო 1:1; რეჯანა — სტაბია 0:0; ბრეშა — პესკარა 2:1; ვიჩენცა — სპალ 5:0; ალძანო — რავენა 0:1

# გაყიდულთა და გასაყიდთა თაობაზე

*თავისუფალი აგენტების ბაზრის გახსნიდან ოცი დღე გავიდა. 57 კონტრაქტგარეშე მყოფი კალათბურთელი ან ძველ კლუბში დარჩა, ან ახალში დაბინავდა, ანაც დათხოვნილი სტატუსით კვლავაც ბედის ძებნაშია. ბოლოლათავან ახალი კონტრაქტები მიიღეს კარლ მელოუნმა, ვინ ბეიკერმა, დეტლეფ შრემპფმა, ნიკ ვან ექსელმა, პენი ჰარდევეიმ. მათ ამყვან (დამტოვებელ) გუნდებს ნამდვილად გაუმართლა.*

*100 თავისუფალი აგენტი უკონტრაქტოდაა. ისინი მოთმინებით არჩევენ სხვადასხვა ვარიანტებს და, ბოლოს და ბოლოს, ალბათ, რომელიმე დაკმაყოფილებთ. ყველაზე დიდი ჯაფა ამ დღეებში კლუბების გენერალურ მენეჯერებს ადგათ. სწორედ მათ უწევთ სასურველი საქონლის საპოვნელად ბაზარში ყველაზე მეტი სიარული. ვაჭრობის დაწყებიდან ოცი დღის თავზე გენერალურმა მენეჯერებმა აღმოაჩინეს, რომ ყველაზე კარგად გამთამაშებლები და ცენტრები საღდებიან და მათი შოვნა პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩვენც შევიაროთ თავისუფალ აგენტთა ბაზარზე და ვნახოთ, რომელ ამპლუაში ვინ დარჩა გასაყიდი.*

*გამთამაშებლები:* აქ ყველაზე სახელიანი 37 წლის ჯონ სტოქტონია. 99,9 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ეს კაცი თავის ძველ და ერთადერთ კლუბში, „იუტა ჯაზში“ დარჩება. საკითხავი მხოლოდ ისლაა, რამდენხნიან კონტრაქტს გააფორმებს სტოქტონი: მრავალწლიანს თუ ერთწლიანს, რომლის დამთავრების შემდეგ კარიერას დაასრულებს.

„მინესოტა ტიმბერვულვზი“ ძალიან დიდხანს მუშაობს ტერელ ბრენდონის ახალ კონტრაქტზე. თითქმის ყველამ იცის, რომ კალათბურთელი ყოველწლიურად 8 მილიონ დოლარს მიიღებს, მაგრამ ამის გაოფიციალურებას საშველი არა და არ დაადგა. „მინესოტა“ თუ ბრენდონს არ დატოვებს, გუნდის ლიდერი კევინ გარნეტი ბურთების ჩაგდებას მოუკლებს: პასის მიმცემი აღარ ეყოლება.

ამ ორი მოთამაშის შემდეგ გამთამაშებლებში ყველაზე დიდი მოთხოვნა შერმან დუგლასზეა, რომელიც შარშან „კლიპერსში“ თამაშობდა. მაგსი ბოგსი და ბი. ჯეი. არმსტრონგიც არ ჩამოწერილან.

*მსროლელები:* ამ დახლზე იმისთანა ვინმე დაუდიათ, რომლის დატაცებაც ყველას სურს. ლაპარაკია მიჩ რიჩმონდზე. ოთხი გუნდი — „სიეტლი“, „მაიამი“, „გოლდენ სტეიტი“ და „საკრამენტო“ უკვე გამზადებულ კონტრაქტს სთავაზობდა ამ კალათბურთელს (მისი დიდი მადის გათვალისწინებით), მაგრამ რიჩმონდმა იქამდე დაიცადა, სანამ მისმა ყოფილმა გუნდმა „ვაშინგტონმა“ ხმა არ ამოიღო. კლუბი და მოთამაშე პრინციპულად მორიგებულან ოთხწლიან და 40-მილიონიან კონტრაქტზე. ახლა მიჩი ფლორიდაში ისვენებს, ჩამოვა და „ვაშინგტონის“ მოწოდებულ ქაღალდზე თავის ავტოგრაფს დასვამს. თუკი ასე მოხდა, რიჩმონდი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსროლელი გახდება: რეჯი მილერი, კობი ბრაიანტი, ლატრელ სპრიუელი და რეი ალენი წელიწადში 9-9 მილიონ დოლარს იღებენ.

ალბათ, აღარავის უნდა ჰქონდეს 36 წლის ჯეფ ჰორნაჩეკის დასაკუთრების იმედი: „იუტა ჯაზი“ მას კონტრაქტს განუახლებს. ძველ გუნდში, „ჩიკაგო ბულზში“ დარჩენა სურს 35 წლის რონ ჰარპერს, მაგრამ კლუბი ეუბნება: თუ გინდა, ერთწლიან კონტრაქტს გაგიფორმებ; მრავალწლიან


სარბიელის არქივიდან

ვაშინგტონელი მიჩ რიჩმონდი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსროლელი ხდება

ხელშეკრულებაზე. არც იფიქრო, იმიტომ, რომ მომავალი სეზონიდან შემადგენლობა უნდა გავაახალგაზრდავოო.

გაურკვევლობაშია შენდონ ანდერსონი. „იუტა ჯაზი“ მას კონტრაქტის განახლებას სთავაზობს, ოღონდ კალათბურთელისთვის სასურველზე დაბალ ფასად. ანდერსონის საუბედუროდ, ბევრმა კლუბმა მისი ამპლუის მოთამაშე უკვე შეიძინა, ზოგიერთს კი მოთამაშის მოთხოვნების დაკმაყოფილება არ შეუძლია. ჩანს, ანდერსონი ყოფილი კლუბის წინადადებას დაეთანხმება.

სემ მეკიც და კრის კარიც უპატრონოდ არიან. არადა, მათი აყვანა არც ერთ გუნდს არ დააზარალებს.

*ფრთები:* აქაც კარგი ვინმე დარჩა გაუსაღებელი. კორლის ვილიამსონი მრავალმხრივი ფორვარდია. ძირითადად ფრთაა, მაგრამ თავდამსხმელადაც ისე ითამაშებს, თვალს არ დაახამხამებს. სწორედ ამიტომაა, რომ „საკრამენტო კინგზს“ ლამისაა აბოდებს მის შენარჩუნებაზე. კლუბმა და კალათბურთელმა თითქმის ყველაფერზე მოილაპარაკეს: ვილიამსონის მრავალწლიან კონტრაქტს წინ ველარაფერი დაუდგება.

ტრავმირებული სედრიკ სებალოსი კვლავ მნიშვნელოვან ძალად იქცა. ამიტომაც შეეხმიანა რამდენიმე გუნდი. ყველაზე სერიოზული წინადადებები „სიეტლმა“ და ყოფილმა გუნდმა, „დალას მავერიქსმა“ შესთავაზეს. სებალოსი ჯერაც ფიქრობს. სამაგიეროდ, მეორე სედრიკმა, ექს-კლივლენდელმა ჰენდერსონმა გადაწყვიტა, რომ აღარ დარჩეს ძველ გუნდში და დასავლეთის კონფერენციის რომელიმე ბინადარს მიეაქლოს.

ტერი კამინგსს, ჩაკი ბრაუნს და გრანტ ლონგს ნებისმიერი კლუბისთვის შეუძლიათ დახმარების გაწევა. ამიტომაც, სულ არ იქნება გასაკვირი, თუკი ისინი, შესაბამისად, „გოლდენ სტეიტში“, „შარლოტში“ და „ატლანტაში“ დარჩებიან. მაგრამ, მოდი, იმასაც ნუ გავიკვირვებთ, თუკი ისინი სხვაგან გადაბარგდებიან: ყოველთვის მოიძებნება ერთიორი ისეთი კლუბი, რომელსაც ამ მოთამაშეების თავის რიგებში ხილვა სურს.

*თავდამსხმელები:* ამგვართაგან ყველაზე ხშირად ჩარლზ ოკლის სახელი ისმის. 14-წლიანი გამოცდილების მქონე კალათბურთელს ლიგის ლამის ყველა კლუბი დაელაპარაკა. დღესდღეობით კი მისი რეალურად მსურველი ორია: ყოფილი გუნდი „ტორონტო რეპტორზი“ და „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“. ცოტა ხნის წინ რიგში „მაიამი“ და „ნიუ იორკიც“ იდგნენ, მაგრამ პირველმა ოთის თორპი დაისაკუთრა, მეორემ — ჯონ უოლესი და ამის გამო ოკლის მიმართ ინტერესი გაუქრათ.

ჩარლზ ბარკლი, ალბათ, დარჩება „ჰიუსტონ როკიტსში“. გერი ტრენტს, რომლის შენარჩუნებაც „დალას მავერიქსს“ უპირველეს ამოცანად დაუსახავს, მაინც სხვა გუნდისკენ უჭირავს თვალი. სამაგიეროდ, „დალასში“ დარჩენაზე თანახმაა ეი. სი. გრინი. ჯეი .არ .რიდი ყოფილ გუნდ „ლეიკერსსა“ და „შარლოტ ჰორნეთსს“ შორის მერყეობს.

*ცენტრები:* ხალვათობაა. ახალგაზრდა ერიკ დამპიე, მიუხედავად იმისა, რომ წინა სეზონი ჩაუვარდა, მაინც საუკეთესოა. „გოლდენ სტეიტი“, ალბათ, შეინარჩუნებს ამ კაცს. გამოცდილთა შორის გამოირჩევიან ექს-სიეტლელი ოლდენ პოლინაისი და ექს-სანანტონიოელი ვილ პერდიუ. ისინი ყურადღებით უსმენენ სხვადასხვა გუნდებიდან მოსულ ხმებს.

## ვებერი სროლაში მოჰყვა

„საკრამენტო კინგზის“ ფორვარდი კრის ვებერი ოთხშაბათს კალიფორნიულ კურორტ სანტა მონიკაში იმყოფებოდა და ჰამბურგერის რიგში იდგა. უეცრად, როგორც კინოშია ხოლმე, მანქანამ ჩაიქროლა და იქ მჯდომი ოთხი კაციდან ერთერთმა ხალხს სროლა აუტეხა. ბედად, არავინ დაშავებულა.

რიგში მდგომი ხალხი პოლიციის მოსვლამდე გაიფანტა, ვებერი კი ადგილზე დარჩა და სამართალდამცავებს ჩვენებები მისცა. პოლიციის ოფიცერმა გამორიცხა ის ფაქტი, რომ თავდამსხმელები მაინცდამაინც კრის ვებერს ესროდნენ.


სარბიელის არქივიდან

კრის ვებერი

## ჩინელს ამერიკაში არ უშვებენ

წლევანდელ დრაფტში „დალას მავერიქსმა“ 213-სანტიმეტრიანი ჩინელი ცენტრი ვან ჟიჟი ამოარჩია. გაირკვა, რომ ჟიჟის ახლანდელი კლუბი, „ბაიი როკიტსი“ მოთამაშეს დალასში არ უშვებს. კლუბის მენეჯერმა კიან ლიმინმა თქვა: „ძალიან კარგია, რომ ვანი „მავერიქსმა“ ამოირჩია, მაგრამ ჩვენ მას ამერიკაში სათამაშოდ ვერ გავუშვებთ. ჟიჟი გუნდს სჭირდება, გუნდი კი — ჟიჟის“.

„მავერიქსის“ მფლობელი როს პერო და მწვრთნელი დონ ნელსონი ამ საკითხის მოსაგვარებლად პეკინში თავად ჩავიდნენ, მაგრამ ჩინეთის არმიული გუნდის „ბაიი როკიტსის“ წარმომადგენლებს აზრი ვერ შეაცვლევინეს.

## თავისუფალი აგენტების ბაზარზე

18 აგვისტო

*შარლოტ ჰორნეთსი:* აიყვანა „იუტას“ ყოფილი ცენტრი გრეგ ფოსტერი

*სიეტლ სუპერსონიქსი:* შეინარჩუნა ფორვარდი ვინ ბეიკერი (შვიდწლიანი კონტრაქტი)

# კვლავ სიეტლი, ამჯერად ბეიკერი

მოვლენათა სხვაგვარი განვითარება თითქმის წარმოუდგენელი იყო. არც „სიეტლ სუპერსონიქსი“ იყო ფორვარდ ვინ ბეიკერის გამშვები და არც თავად ბეიკერს სურდა სხვაგან გადასვლა. ჰოდა, ოთხშაბათს 27 წლის კალათბურთელმა ძველ გუნდს ახალი კონტრაქტი დაუდო: შვიდი წლის მანძილზე 87 მილიონ დოლარს მიიღებს. თანხის თაობაზე ოფიციალურად არსად თქმულა, მაგრამ „სონიქსის“ პრეზიდენტს ვალი უოლკერს და კალათბურთელის აგენტს აარონ გუდვინს წამოცდათ, ვინი უმაღლეს გასამრჯელოს მიიღებსო. ეს კი, შვიდწლიანი კონტრაქტისთვის, სწორედ 87 მილიონია.



ვინ ბეიკერი სიეტლში დარჩა

ბეიკერის ძველი კონტრაქტი, რომელიც კიდევ ერთ წელიწადს იმოქმედებს, ერთობ უცნაურია. კალათბურთელი ერთი წლით „სიეტლის“ საკუთრებაა, მაგრამ ამავე დროს თავისუფალი აგენტიცაა. 1 ივლისის მერე ვინს შეეძლო გუნდის მიტოვება და ახალში გადასვლა, მაგრამ იგი დაახლოებით 20 მილიონ დოლარს დაკარგავდა. ამიტომ, მომავალ სეზონში ბეიკე ძველი კონტრაქტის ძალით ითამაშებს (ერთ სეზონში მიიღებს 2 მილიონ დოლარს), ხოლო მისი დასრულების შემდეგ ძალაში შევა ახალი, შვიდწლიანი გარიგება, რომელიც ოთხშაბათს გაფორმდა. თანაც, ბეიკერის მოთხოვნების დაკმაყოფილება „სიეტლის“ გარდა მხოლოდ სამ გუნდს, „ტორონტოს“, „ჩიკაგოს“ და „კლიპერსს“ შეეძლოთ, დანარჩენებს ამის უფლებას ჯამური ხელფასის ზღვარი არ აძლევდათ.

კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ ბეიკერმა, ძირითადად, „სონიქსში“ და ამერიკის შეერთებულ შტატების ნაკრებში თავის თანაგუნდელზე, გამთამაშებელ გერი პეიტონზე ილაპარაკა: „მე და გერი ახლო მეგობრები ვართ. სხვა გუნდში გადასვლის უფლებას გერი არ მომცემდა. ამ თემაზე საერთოდ არ გვისაუბრია. სამაგიეროდ, ბევრს ვლაპარაკობთ მომავალ სეზონზე და იმაზე, თუ როგორ გავხადოთ „სიეტლის“ თამაში უკეთესი“.

წინა სეზონი 211-სანტიმეტრიანმა ბეიკერმა მთლად კარგად ვერ ჩაატარა: წონაში 10 კილოგრამი მოიმატა, ხოლო იდაყვისა და მუხლის ტრავმების გამო 16 მატჩი გამოტოვა, საშუალოდ 13,8 ქულა და 6,2 მოხსნა გააკეთა. ამაზე უარესად მხოლოდ სადეიუტო სეზონში, „მილუოკი ბაქსის“ რიგებში იასპარეზა: 13,5 ქულა და 7,8 მოხსნა. სულ კი, ექვსწლიან კარიერაში საშუალოდ 18,1 ქულა და 9,0 მოხსნა გაუკეთებია. ვინ ბეიკერს ოთხ ოლსტარში მიუღია მონაწილეობა.

1997 წლის 25 დეკემბერს სამმა გუნდმა ერთმანეთში ივაჭრა. შედეგად „სიეტლმა“ „მილუოკიდან“ მიიღო ვინ ბეიკერი; „მილუოკიმ“ „კლივლენდიდან“ — ტერელ ბრენდონი და ტაირონ ჰილი, ხოლო „კლივლენდმა“ „სიეტლიდან“ — შონ კემპი.

# გახანგრძლივებული ბედნიერება: რაილიმ რაილის კონტრაქტი დაუდო

ბედნიერებაა, როცა გუნდს პატ რაილის მსგავსი ვირტუოზი წვრთნის. ოთხშაბათს „მაიამი ჰითმა“ ოთხწლიანი ბედნიერება გაიხანგრძლივა — რაილი გუნდს 21-ე საუკუნეში შეუძღვება. მიხვდებოდით, მწვრთნელმა კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, ოღონდ რამდენხნიანი და რათანხიანი, ჯერჯერობით უცნობია.

პატ რაილი 1995 წელს მივიდა „ჰითში“ და იქ 191 მატჩი მოიგო და 105 წააგო. ყოველ სეზონში გუნდი პლეი ოფში გადიოდა. საერთოდ, რაილის 17-წლიანი სამწვრთნელო სტაჟი აქვს და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, მისი გუნდი პლეი ოფში ვერ მოხვედრილიყო.

კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებულ პრეს-რელიზში რაილიმ განაცხადა: „მე და ჩემი ოჯახი მაიამიში შეყვარებული ვართ. იმედი მაქვს, ეს ქალაქი ჩემი ხანგრძლივი სამწვრთნელო მოგზაურობის ბოლო პუნქტი იქნება“.


5 MAJEUR

პატ რაილი

რაილიმ 80-იან წლებში ოთხჯერ გახადა „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი, 1994 წელს კი „ნიუ იორკ ნიქსი“ ლიგის ფინალში გაიყვანა. კარიერაში 947 მატჩი მოუგია (404 წააგო). ამაზე მეტი მოგება მხოლოდ ლენი ვილკენსს აქვს. ოღონდ, ვილკენსს რაილიზე ათი წლით მეტი უმუშავია მწვრთნელად.

54 წლის რაილი ახალგაზრდობაში კარგი მოთამაშე იყო. 1972 წელს იგი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი გახდა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ რიგებში. ერთი წელიწადი მწვრთნელობას შეეშვა და მაშინ ენ-ბი-ეის ტელეკომენტატორად მუშაობდა.

# კონჩიტას გემრიელი ლუკმა

**ინდიანაპოლისი. აშშ**
**RCA CHAMPIONSHIPS**
**საპრიზო 870 000 $**

პიტ სამპრასს, რომელიც მორიგი ტურნირის მოსაგებად შემართულა, ნაკლებად ცნობილი ფრანგი გილომ როუქსი რომ ვერაფერს დააკლებდა, ყველასთვის ცხადი იყო. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა სწორედ ფრანგის ძლევით დაიწყო ინდიანაპოლისის ტურნირი. სამპრასმა უკვე ზედიზედ 23-ედ გაიმარჯვა.

— თუმც ეს ბოლო გამარჯვება იოლად არ მოსულა. პიტისა და როუქსის შეხვედრაში ფავორიტი, რა თქმა უნდა, პირველი იყო, მაგრამ მეორეს ელეთმელეთი არ მოსვლია იმის გამო, რომ მის წინაშე პლანეტის უძლიერესი მეჩოგნე იდგა. როუქსმა აკეთა ის, რაც იცოდა, რაც შეეძლო და პირველ სეტში საკმაოდ თანაბრად ეთამაშა ამერიკელს, მეორეში კი ტაი-ბრეიკზე ბლომად ოფლიც ალვრევინა, მაგრამ აბა, სამპრასი რის სამპრასია, თუ ამგვარი „მარტივი“ სიტუაციიდან თავი ვერ დაიძვრინა და პირველმა ჩოგანმაც საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა. „გილომმა კარგად ითამაშა — მატჩის შემდეგ პიტ სამპრასმა მეტოქის ქება-დიდებას მიჰყო ხელი — მან შეძლო რამდენიმე მშვენიერი ბურთის ჩაგდება, მაგრამ ბევრიც ააცილა და კიდეც წააგო“.

სამპრასისა არ იყოს, მეორე წრე ტურნირის სხვა ფავორიტმაც, ავსტრალიელმა პატრიკ რაფტერმაც გაიარა, თუმცა მას გამარჯვებისთვის სამპრასზე უფრო მეტი ძალა და ენერგია დასჭირდა. არადა, მეტოქე ისეთივე სუსტი ჰყავდა, როგორც მსოფლიოს პირველ ჩოგანს, მას ენტონი დიუპუსი ერქვა და რაფტერს პირველი სეტი ისე მოუგო, თითქოს აღიარებულ გრანდს კი არა, მე-200 ჩოგანს ეთამაშებოდა. მეორე სეტში კი უკვე რაფტერმა იძალა და იმავე ანგარიშით — 6:2 დასცა ფრანგი. გადამწყვეტ მესამე სეტში დიუპუსი კვლავ მოვიდა თამაშის იშტაზე და რაფტერს ჯოჯოხეთური ბრძოლა გაუმართა. სეტის მიწურულს ანგარიში 6:6 იყო. თუმცა ტაი-ბრეიკში რაფტერის ფრანგ მოწინაალმდეგეს ნერვებმა უმტყუნა, პატრიკიც მშვენივრად გაისარჯა და მესამე წრეშიც ავსტრალიელი გავიდა. თამაშის შემდეგ კიკინიანი პატრიკი გაოცებული იყო, ენტონიმ ისეთი ტაქტიკა დამიპირისპირა, რომ ერთობ დამაბნია და ლამის კიდეც ვემსხვერპლეო.


AP ინდიანაპოლისიდან

მარსელო რიოსი


REUTERS ტორონტოდან

კონჩიტა მარტინესი

როგორც იქნა, გამოჩნდა მარსელო რიოსი. უჟმური ხასიათის ჩილელი ამ რამდენიმე კვირის წინ დაშავებულა და ამიტომაც ტურნირები გამოტოვა. ამან კი ის შედეგი მოიტანა, რომ მარსელო კლასიფიკაციაში მე-11 ადგილზე ჩამოვარდა. ახლა, როცა რიოსი მომჯობინდა, იგი ახალი ძალებით შეუდგება გზას უმაღლესი მწვერვალისკენ — პირველი ჩოგნობისკენ და ეს რომ მისთვის სულაც არაა შეუძლებელი, მან რამდენიმე თვის წინაც დაამტკიცა. რიოსს დებიუტი კარგი გამოუვიდა, ებრაელი ჰარელ ლევი დაამარცხა და მესამე წრეში გავიდა.

ინდიანაპოლისში მყოფთა ელიტა ერთბაშად სამმა განთესილმა შეარცხვინა — გერმანელმა ტომი ჰაასმა, შვედმა ტომას ენკვისტმა და ესპანელმა ალბერტ კოსტამ. ეს სამეული მათზე რანგით დაბლა მდგომმა მეტოქეებმა დაჯაბნეს.

მეორე წრე: **პიტ სამპრასი** (1, აშშ) — გილომ როუქსი (საფრანგეთი) 6:4, 7:5; **პატრიკ რაფტერი** (2, ავსტრალია) — ენტონი დიუპუისი (საფრანგეთი) 2:6, 6:2, 7:6; **მარსელო რიოსი** (6, ჩილე) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:2, 7:6; **იან სიმერინკი** (ჰოლანდია) — ტომი ჰაასი (7, გერმანია) 6:3, 7:5; **მაგნუს ლარსონი** (შვედეთი) — ტომას ენკვისტი (10, შვედეთი) 7:6, 6:4; **ნიკოლას ლაპენტი** (11, ეკვადორი) — ჯარედ პალმერი (აშშ) 6:2, 6:2; **სებასტიენ გროსჟანი** (საფრანგეთი) — ალბერტ კოსტა (12, ესპანეთი) 6:7, 6:2, 7:5; **სედრიკ პიოლინი** (14, საფრანგეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:0, 6:3; **ვინსენტ სპადეა** (აშშ) — აქსელ პრეტცში (გერმანია) 6:3, 6:4; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 7:5, 6:4; **მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:3, 6:1; **დანიელ ნესტორი** (კანადა) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 6:3, 6:3

**ტორონტო. კანადის ღია პირველობა**
**საპრიზო 1 000 000 $**

ამ ბოლო ხანს 17 წლის სერენა უილიამსის გარშემო დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. მან ამ ერთი კვირის წინ მანჰეტენ ბიჩის ტურნირი მოიგო, სახელიც უფრო გაითქვა და კლასიფიკაციაშიც ზევით აიწია, მაგრამ ერთი არცთუ სასიამოვნო ამბავიც შეემთხვა. როცა გავეშებული უილიამსი მანჰეტენ ბიჩში ყველაფერს ბდღვნიდა და თამაშს თამაშზე იგებდა, ამ გოგონამ საკუთარი ძალები კარგად ვერ შეაფასა და მხარის მსუბუქი ტრავმაც მიიღო. შედეგად სერენა კანადის ღია პირველობაზე ვერ ითამაშებს, რადგან არ სურს, ტრავმა გაურთულდეს. სერენას მოუწევს კარსმომდგარი ამერიკის ღია პირველობის გაცდენაც, რაც, რაღა თქმა უნდა, სულაც არ სურს. „მე არ შემიძლია ახლა თამაში — ამბობს გულგატეხილი და ბრძოლის იშტაზე მყოფი ზანგი — ჩემი მამიკო ყოველთვის მეუბნებოდა, შვილო, თუ ტრავმა გაქვს, ნუ ითამაშებ“. პატარა სერენაც უჯერებს თავის, ცოტა არ იყოს, შეშლილ მამას და მომავალი დიდი სლემის ტურნირისთვის თავს ზოგავს. თუმცა იქ მაინც ვერ მოახერხებს სრული ძალით თამაშს. ეს ტრავმა მას ქალთა და შერეულ წყვილებში თამაშის საშუალებას არ მისცემს.

უუილიამსო ტორონტოში მაინც ხდებოდა საინტერესო ამბები. აგერ, იაპონელმა დიაცმა აი სუგიამამ არც მეტი, არც ნაკლები, თვით იანა ნოვოტნა აატირა და მას პირში ჩალა გამოავლო. ყოფილ პირველ ჩოგან ჩეხს თავიდანვე გაუჭირდა და პირველი სეტი 7:5 ძლივს მოიგო ეს იყო და ეს, მას შემდეგ კორტზე მხოლოდ იაპონელი თამაშობდა, ნოვოტნას კი ხელსაც ვერ უშლიდა, 6:2, 6:1 — შემდეგი ორი სეტი სუგიამამ ასე მოიგო.

წლების წინ ჩოგბურთის მომავალ სუპერვარსკვლავად შერაცხულმა ჯენიფერ კაპრიატიმ მეშვიდე ნომრად განთესილი ფრანგი ნატალი ტოზია დაიფრინა.

საინტერესო ბრძოლა წარიმართა ჩოგბურთის ამომავალ და ჩამავალ ვარსკვლავებს — ავსტრალიელ დოკიჩსა და მარტინესს შორის.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ კლასიფიკაციის ასეულს მიღმა მყოფმა თინეიჯერმა, ელენა დოკიჩმა წლევანდელ უიმბლდონზე თვით მარტინა ჰინგისი ისე დასცა, სულ გაჩენის დღე აწყევლინა. ამით ოზმა გოგონამ დიდი სახელი დაიგდო.

რაც შეეხება კონჩიტა მარტინესს, ამ მხცოვან ესპანელ ქალს უამრავი ტურნირი მოუგია და მარად ათეულის წევრი იყო, ახლა კი კარიერის ბოლო წლებს ითვლის. პატარა და სუსტმა დოკიჩმა მძლავრ კონჩიტას პირველი ხელი კი მოუგო, მაგრამ მთელი თავისი ძალა პირველ სეტს მიახარჯა და მერე და მერე მარტინესის იოლი ლუკმა შეიქნა.

მეორე წრე: **აი სუგიამა** (იაპონია) — იანა ნოვოტნა (4, ჩეხეთი) 5:7, 6:2, 6:1; **არანჩა სანჩეს ვიკარიო** (5, ესპანეთი) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 7:5, 6:2; **ჯენიფერ კაპრიატი** (აშშ) — ნატალი ტოზია (7, საფრანგეთი) 1:6, 6:4, 6:2; **სილვია ტალაია** (ხორვატია) — ამელი კოშეტი (საფრანგეთი) 6:4, 6:1; **ბარბარა შეტი** (9, ავსტრია) — რენატა კოლბოვიჩი (კანადა) 6:3, 6:1; **სანდრინ ტესტუ** (10, საფრანგეთი) — მაგუი სერნა (ესპანეთი) 6:4, 3:6, 6:3; **კონჩიტა მარტინესი** (12, ესპანეთი) — ელენა დოკიჩი (ავსტრალია) 5:7, 6:1, 6:4; **მირიანა ლუჩიჩი** (ხორვატია) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 4:6, 6:2, 6:3; **ანკე ჰუბერი** (გერმანია) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:3, 6:1; **ანე ჟილ სიდოტი** (საფრანგეთი) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:4, 6:2

**ივანე ქობიაშვილი**


REUTERS ტორონტოდან

აი სუგიამა


AP ინდიანაპოლისიდან

პიტ სამპრასი



# მეკობრეს გული გაუტყდა

## პანტანიმ ვუელტაზე უარი თქვა

4-26 სექტემბერს სეზონის მესამე უმთავრესი ტურნირი ესპანური „ვუელტა“ გაიმართება, იტალიური გუნდის „მერკატონე უნოს“ სპორტულმა დირექტორმა ჯუზეპე მარტინელიმ კი გამოაცხადა, რომ ამ შეჯიბრში მონაწილეობას არ მიიღებს ცნობილი იტალიელი მრბოლი, „მეკობრედ“ წოდებული მარკო პანტანი.

1998 წლის „ტურ დე ფრანსისა“ და „ჯიროს“ ერთდროულად მომგები „მერკატონე უნოს“ ლიდერი პანტანი წლეულს „ჯიროდან“ მოკვეთის შემდეგ (5 ივნისი) არც ერთ რბოლაში აღარ მონაწილეობდა. არადა, „იტალიის ტურის“ დამთავრებამდე ორი ეტაპიღა რჩებოდა, როცა საერთო ჩათვლაში ლიდერის ვარდისფერმაისურიან „მეკობრეს“ ჰემატოკრიტების მაღალი დონის გამო მიატოვებინეს შეჯიბრი. შემდეგ კი ყველამ აღიარა, რომ პანტანის არანაირი დოპინგი არ მიუღია და მისთვის დისკვალიფიკაციაც არ მიუციათ.

„პანტანი ახლა თავს კარგად გრძნობს. დღეში სამი საათი ვარჯიშობს, მაგრამ მორალურად მაინც ვერ გამოკეთდა — უთხრა ჟურნალისტებს ჯუზეპე მარტინელიმ „ბურგოსის ტურის“ მესამე ეტაპის დაწყების წინ — მისი სპორტული ფორმა ჯერ კიდევ ძალიან შორსაა საუკეთესოსგან. იგი ესკარტინსა და ოლანოს „ვუელტაზე“ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. სეზონის დასაწყისში ჩვენი მთავარი მიზანი „ჯირო“ და მსოფლიოს ჩემპიონატი იყო,



მარკო პანტანი

ამიტომ „ვუელტას“ გამოტოვება დიდად არ დაგვამწუხრებს“. მან ისიც დაამატა, რაკი პანტანი არ არის, ჩვენი გუნდი საერთოდ არ მიიღებს მონაწილეობას ამ ტურნირშიო.

# რისკიანი როსკიოლი შამპანურს ვერ ეღირსა

ოთხშაბათს ესპანეთში მიმდინარე „ბურგოსის ტურზე“ მესამე ეტაპი მოეწყო, რომელიც წინა ორისგან განსხვავებით მთიანი იყო. პელოტონმა ბრივიესკასა და სან ხუან დელ მონტეს შორის არსებული 182 კილომეტრი პაპანაქება სიცხეში გალია. გამარჯვება რუსმა სერგეი სმეტანინმა (ვიტალიციო) მოიპოვა, საერთო ჩათვლაში პირველობა კი „ონსეს“ ესპანელმა ლიდერმა აბრაამ ოლანომ შეინარჩუნა. ორშაბათს ინდივიდუალური რბოლის მომგებმა ოლანომ მესამე ეტაპზე ფინიშის ხაზი მესამემ გადაკვეთა. მან სმეტანინთან მხოლოდ ორი წამი წააგო, იმდენივე, რამდენიც შვეიცარიელმა ლორან დიუფომ (საეკო).

ეს ეტაპი ამ ტურნირზე ყველა სხვა დანარჩენზე გრძელი იყო. დღის მთავარი იერიში იტალიელმა ფაბიო როსკიოლიმ განახორციელა. ეს ის როსკიოლია, რომელიც წინა კვირაში გამართულ „გალიციის ტურის“ რამდენიმე ეტაპზეც ძალიან აქტიურობდა და შეტევას შეტევაზე ახორციელებდა. მაშინ მან საერთო ჯამში დაახლოებით 300 კილომეტრი იქროლა ეულად, მთავარ ჯგუფს მოწყვეტილმა, მაგრამ ერთხელაც ვერ იზეიმა გამარჯვება.

ასე მოხდა ამჯერადაც. კარგა ხანს რბოლის სათავეში მყოფ როსკიოლის დანარჩენები ფინიშამდე ხუთი კილომეტრით ადრე, სან ხუან დელ მონტეს მთის ძირას წამოეწივნენ. ეს მესამე კატეგორიის სიძნელის აღმართი კი ყველაზე უკეთ სმეტანინმა დაძლია.

**გაგი გურული**

წყალბურთი

# ქართული ფინალი რუსულ აუზში

## იმ უბიდან ამ უბეში

**იმ უბეში ანუ ყურეში ტუაფსეს საცურაო აუზს ვგულისხმობთ, ამ უბეში კი თბილისში „ლაგუნა ვერეს“ საწყლოსნო კომპლექსს და მისივე ამავე სახელის წყალბურთელთა გუნდს. ჩვენმა ლაგუნას წყალბურთელებმა იმ ლაგუნაში ოქროს მედლები მოიპოვეს და მათთან ერთად თასიც, რომელსაც თავიანთ „ლაგუნა ვერაში“ დაუდეს ბინა. თუმცა, ფინალურ ბრძოლაში რომ დამარცხებულიყვნენ, ოქროს კომპლექტიცა და თასიც მაინც თბილისის გზას გამოუყვებოდა, რადგან „ლაგუნა ვერემ“ გადამწყვეტი პაექრობა ისევე თანაქალაქელ „ნეპტუნთან“ გამართა.**

ასეა, ჩვენი ნორჩი თუ ახალგაზრდა წყალბურთელები რიგიანი, თუ გნებავთ ურიგო გუნდების არარსებობის გამო შინ რომ შეჯიბრებებს ველარ მართავენ, ბოლო წლებში რუსეთის ქალაქებში კარდაკარ დადიან და მასპინძლებს იქაურ ასპარეზობაში მონაწილეობას ეაჯებიან. ისინიც, მასპინძლებიც, ბევრს არ ახვეწნინებენ შორი გზიდან ჩასულთ, რადგან თბილისელები მათ ტურნირებს ულამაზებენ, ლაზათს მატებენ, ბრძოლებს და უმძაფრებენ. ყოველ შემთხვევაში, ამას თავად რუსეთის წყალბურთის სპეციალისტები ამბობენ და მათი გამონათქვამები ჩვენც არაერთხელ გამოგვიქვეყნებია.

მართალია, რუსეთის გუნდები ამგვარ ბრძოლებში ხშირად ამა თუ იმ „ძვირფასი ლითონების“ კომპლექტს და თასს კარგავენ, როგორც ახლა, ტუაფსეში, მაგრამ, სამაგიეროდ, ისინიც მოგებულნი რჩებიან, რადგან ძლიერ გუნდებთან პაექრობაში თავადაც ბევრს სწავლობენ, გამოცდილებას იძენენ და მერე, როცა დაკაცდებიან, ყოველივეს დიდ ბრძოლებში იყენებენ.

სამწუხარო ისაა, რომ ჩვენი დაკაცებული წყალბურთელები ველარ იყენებენ, რადგან საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებს შინ თამაშის საშუალება არ აქვთ, გარეთ კი პირდაპირ დიდ ბრძოლებში ებმებიან და ანგარიშში ასტრონომიული სხვაობით მარცხდებიან ისეთ გუნდებთან, რომლებთანაც ერთ დროს ასეთივე უპირატესობით თავად იგებდნენ.

ახლა მთელი იმედები სწორედ ლაგუნა ვერეებზე, ნეპტუნებზე და მათი წევრებივით ახალგაზრდა წყალბურთელებზე გვაქვს.

და ისინიც გვიმართლებენ იმედებს, რისი დასტურიც რუსეთში მათი ეს ბოლო შეჯიბრებაც იყო, ამ ასპარეზობას კი ასე ერქვა „წყალბურთის ევრაზიული ასოციაციის პირველობა ტუაფსეს სავაჭრო პორტის პრიზზე“.

როგორც ჩვენი წყალბურთის ფედერაციის წამყვანმა სპეციალისტმა ვაჟა ჩერტკოევმა გვითხრა, ამ პრიზისთვის მებრძოლ 12 გუნდს შორის ორი ქართული იყო და ორივემ ყველა მეტოქეს ბდღვირი ადინა, მთავარი ჯილდოს ბედი კი ერთმანეთში გადაწყვიტეს...

მაგრამ ჯერ ესა ვთქვათ:

შეჯიბრების მონაწილენი ორ ჯგუფად დაყვეს. „ლაგუნა ვერემ“ თავის ჯგუფში 2-3 ბურთის სხვაობით სძლია ნიჟნი ნოვგოროდის, ვოლგოგრადის, ასტრახანისა და ტუაფსეს „პირველ“ გუნდს და მხოლოდ მოსკოვის „შრომით რეზერვებთან“ ითამაშა ფრედ, რამაც მას ჯგუფში პირველობა მოუტანა.

„ნეპტუნმაც“ ზუსტად ასეთივე წარმატებით ითამაშა, მანაც ბურთების ანალოგიური სხვაობით აჯობა სარატოვის, ჩელიაბინსკის, იამალის გუნდებს, ტუაფსეს „მეორე“ ნაკრებს, ხოლო მოსკოვის ბურევესტნიკთან ფრედ გაასრულა შეხვედრა.

ამის მერე ნახევარფინალურ ბრძოლებში, დებულების თანახმად, ჯგუფებში გამარჯვებულნი მეორე ჯგუფში III-IV ადგილებზე გასულთ შეახვედრეს, რათა უძლიერესნი ფინალამდე არ დაპირისპირებოდნენ ერთმანეთს. აქაც ჩვენმა გუნდებმა კვლავ ერთნაირი წარმატებით იასპარეზეს. „ლაგუნამ“ ჯერ ტუაფსეს მეორე გუნდი გააცამტვერა, მერე ნიჟნი ნოვგოროდელებს ადინა ბდღვირი, „ნეპტუნმა“ კი თავისი „სამკბილას“ ძალა ტუაფსეს „პირველ“ და „შრომითი რეზერვების“ გუნდებს მწარედ აგრძნობინა.

რაც შეხება ქართულ ფინალს, იგი მეტად დაძაბული გამოდგა. პირველ პერიოდში „ნეპტუნმა“ იმარჯვა (2:1), მეორეში „ლაგუნა ვერემ“ (2:0), მესამეში, როცა საერთო ჯამში ანგარიში თანაბარი (2:2) იყო, მეტოქენი ასევე დაშორდნენ ერთმანეთს, რაკი ბურთი ვერცერთმა ვერ გაიტანა, მეოთხეში კი ლაგუნამ იმძლავრა (3:0) და საბოლოო გამარჯვება (5:2), „ოქრო“ და თასიც მას დარჩა, ვერცხლი — ნეპტუნელებს, ბრინჯაო კი...

გამარჯვებული გუნდის წევრები არიან: ლევან ნადიბაიძე, ვლადიმერ გურგენიძე, ილია ბუტიკაშვილი, თამაზ მაზუაშვილი, გიორგი ჯოხაძე, გურამ კოტარია, ვახტანგ ჩიხლაძე, გურამ მებუკე, ზურაბ რურუა, ირაკლი კუპრეიშვილი, ვლადიმერ გულორდავა, ძმები ავთანდილ და ირაკლი ბაზაძეები. მწვრთნელი — იოსებ მაისურაძე.

ასე რომ, მომავალი გვეზრდება და ვინძლო ამ ჩვენმა „ოქროსა“ და „ვერცხლის“ ბიჭებმა ქართული წყალბურთის ოდინდელი სახელი დაიბრუნონ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

რაგბი

# ავსტრალია თავს იწონებს



ავსტრალიელმა ჯონ ილზმა აუტებში პირწმინდად დაჩაგრა ფიჯელები

ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ, რომელიც მხრის უმძიმესი ტრავმით იყო გამოწვეული, ავსტრალიელი მორკინალი ჯონ ილზი დიდ რაგბის დაუბრუნდა. ეს ავსტრალიელი „ბარბაროსებისა“ და ფიჯელების მატჩში მოხდა. ამ შეხვედრაშივე დაუბრუნდა მოედანს სტეფან ლარქემიც, რომელსაც ტრავმამ ორი თვე გააცდენინა. ავსტრალიური რაგბის ამ ორი ვარსკვლავის გამოჯანმრთელება, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად გააძლიერებს „ვოლაბებს“ და სამი ერის ბოლო ტურში „ოლ ბლექსთან“ მათი წარმატების შანსსაც გაზრდის. მართალია, ამ მატჩს სატურნირო ცხრილისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ავსტრალიელთა და ახალზელანდიელთა დაპირისპირება ყოველთვის დიდი სიმძაფრით გამოირჩეოდა. გარდა ამისა, მეტოქეებს არც ბლედისლოუს თასი დავიწყებიათ.

ზემოთ ვთქვით, ორი ვარსკვლავის დაბრუნება „ვოლაბებს“ „ოლ ბლექსთან“ წარმატების შანსს გაუზრდისო. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ავსტრალიელთა მწვრთნელი როდ მაკქვინი ორივეს ძირითად შემადგენლობაში დააყენებს. საქმე ისაა, რომ მწვრთნელი შეიძლება ახალგამოშუშებულთა ტრავმების გამიზეზებას მოერიდოს და არ ათამაშოს ისინი. „ვოლაბები“ ხომ საუკუნის ბოლო მსოფლიოს თასის მოპოვებას აპირებენ. ილიზის და ლარქემის გარეშე კი ამის მიღწევა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება. ილზის თქმით, მას ახალზელანდიელებთან თამაშის უდიდესი სურვილი აქვს. ამის უფლება მას ექიმებმა უკვე მისცეს, თუმც მთავარი მაინც მწვრთნელია, რომელიც ასეთ სიტუაციებში ძალიან ფრთხილობს. არც გაემტყუნება. წინ ხომ მსოფლიოს თასია.

„ბარბაროსების“ ფიჯელებთან დაპირისპირებას რაც შეეხება, ორივე მობურთალისთვის დიდ რაგბიში დაბრუნება ტრიუმფალური გამოდგა. ლარქემმა ავსტრალიელების გატანილი ხუთი ლელოდან ორში ლომის წილი დაიდო, ილზმა კი გუნდს ექვსი ქულა შესძინა, შერკინებაში ხომ ივაჟკაცა და არც აუტებში იყო ვინმე მისი მჯობნი. თავად მატჩი კი ავსტრალიელთა გამარჯვებით დასრულდა — 31:25.

# მოგვეცით დალალიო!

## შენი მტერი ჩვენი მტერია

## ამხნევებენ ინგლისელი მორაგბეები ყოფილ კაპიტანს

არა და არ დაადგა საშველი ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტნის, ლოურენს დალალიოს საქმის განხილვას. მობურთალს ნარკოტიკების გამოყენებასა და რეალიზაციაში სდებენ ბრალს, მაგრამ ამის დამადასტურებელი ფაქტი არავის მოეპოვება. ინგლისის რაგბის კავშირმა ორჯერ გადადო ამ საკითხზე მსჯელობა და ახალ თარიღად 26 აგვისტო დაასახელა. ალბათ, ამჯერად მაინც გამოუტანენ განაჩენს მობურთალს, რადგან აგვისტოს ბოლოს ინგლისელთა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა მსოფლიოს თასზე მოასპარეზეთა ვინაობა უნდა დაასახელოს. მანამდე კი ვუდვორდმა დალალიო ამერიკელებთან დასაპირისპირებლად გამოიძახა. მსოფლიოს თასამდე ყველა გუნდი ეშურება ამხანაგური მატჩების ჩატარებას ტურნირისთვის უკეთ მომზადების მიზნით. ინგლისელებიც სწორედ ამიტომ გაეჯიბრებიან მსოფლიოს თასის დებიუტანტ აშშ-ს.

კაპიტანყოფილის ნაკრებში დაბრუნებამ შემადგენლობიდან მარტინ კორი ამოაგდო. გუნდს აგრეთვე დაუბრუნდა მეტ დოუსონი, რომელმაც კირან ბრეკენი შეცვალა, ფილ დე გლანვილი კი მაიკ ქეტის ნაცვლად ითამაშებს.

ინგლისელთა ახალი კაპიტნის, მარტინ ჯონსონის თქმით, დალალიო მნიშვნელოვნად გააძლიერებს ნაკრებს. მან რაგბის კავშირს ამ გაჯანჯლებული საქმის მობურთალის სასარგებლოდ გადაწყვეტა ურჩია. ამასვე ითხოვს ინგლისელთა თავკაცი კლაივ ვუდვორდი: „არ მესმის, რატომ გაჭიანურდა ამ საქმის განხილვა. მე მგონი, ყველაფერი ნათელია. რაკი არ არსებობს პიროვნების მიერ ჩადენილი დანაშაულის დამადასტურებელი ფაქტები, ის უბრალოა. რაგბის კავშირში კი ეს ზოგიერთს ვერ გაუგია. დალალიო უდიდესი მორაგბეა. ასეთებს უნდა ვუფრთხილდებოდეთ. ჩვენ კი რას ვაკეთებთ? ერთი თვეა, ვბჭობთ, მივცეთ თუ არა მას მსოფლიოს თასზე თამაშის უფლება. ჩემი აზრით, ის ხალხი, ვინც მორაგბეს მხარს არ დაუჭერს, ინგლისური რაგბის მტერია.“



ლოურენს დალალიო

დამეთანხმებით, საკმაოდ კატეგორიული განცხადებაა. აღსანიშნავია, რომ მწვრთნელს მხარი მოთამაშეებმაც დაუჭირეს. ასეა თუ ისე, საბოლოო სიტყვა რაგბის კავშირის ხელმძღვანელობაზეა, რომელსაც იგი 26 აგვისტოს იტყვის.

**პაატა თოთაძე**

ჩოგბურთი

# სალომემ უფროსებთან არ დაირცხვინა

ახლახან მიუნხენში თექვსმეტწლამდე ჩოგბურთელ გოგონათა პრესტიჟული ტურნირი — BMW-ს ღია პირველობა დასრულდა. ორგანიზატორებმა უაილდ ქარდის პრინციპით მიუნხენში სათამაშოდ ქართველი სალომე დევიძეც მიიწვიეს, რომელიც ორი წელია ამერიკაში, ფლორიდის შტატში, კრის ევერტის საჩოგბურთო სკოლაში ვარჯიშობს. უაილდ ქარდით იმიტომ, რომ სალომე მხოლოდ ცამეტი წლისაა, ტურნირში კი 1983-84 წლებში დაბადებულები მონაწილეობდნენ.

ქართველმა ჩოგბურთელმა, აქაოდა, გერმანელებმა ასეთი პატივი დამდესო, სამი წლით უფროს მეტოქეებს ისეთი დღე აყარა, თქვენი მოწონებული! ფინალში მას რუსი გალინა ვოსკომიუკოვა შეხვდა. სალომემ გადამწყვეტ მატჩშიც იყოჩაღა და აქაც დაამარცხა უფროსი მეტოქე 6:4, 4:6, 6:2.

ჭადრაკი

# ხალიფმანმა ქველაფერი გააკეთა. წასაგებად

რამდენიმე სვლაც და ლას ვეგასში მიმდინარე ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინალისტთა წყვილიც გაირკვეოდა. სვლები კი გაკეთდა, მაგრამ სომეხი ვლადიმერ აკოფიანის მეტოქის ვინაობა გაურკვეველი დარჩა. ჯერჯერობით მაინც...

რუმინელ ლივიუ-დიტერ ნისიპეანუსა და რუს ალექსანდრ ხალიფმანის მეოთხე ნახევარფინალური პარტიის წინ ხალიფმანი 2:1 იგებდა და ფინალში გასასვლელად ყაიმიც ჰყოფნიდა. შესაბამისად, სწორედ მას და არა რუმინელს უნდა აერჩია რომელიმე ისეთი დებიუტი, რომელშიც ყაიმის შანსები დიდია; ხალიფმანი ასე არ მოიქცა და თეთრებით მოთამაშე მეტოქეს შოტლანდიური პარტიის გათამაშების საშუალება მისცა, სადაც ბრძოლა, ჩვეულებრივ, სიმძაფრით გამოირჩევა. ნისიპეანუმ საკმაოდ აქტიური თამაში დაიწყო, პარტიაც მალე ენდშპილში გადავიდა და რუმინელმა სავსებით ხელშესახები უპირატესობა მიიღო, მაგრამ რამდენიმე სვლაშივე გაფლანგა. პარტიაში საყაიმო კონტურები გამოიკვეთა, ხოლო მას შემდეგ, რაც დაფას ფიგურებიდან თეთრი კუ და შავი მხედარიღა შემორჩნენ, ზავი კიდევ უფრო რეალური გახდა; სწორედ აქედან დაიწყო ხალიფმანმა საკუთარი საფლავის გათხრა: 37-ე სვლაზე მსუბუქად შეცდა, 42-ზეც ასევე, 43-ეზე კი უხეში შეცდომით საფლავს ჯვარიც დაუსვა. რუმინელს რა უნდა ექნა, იჯდა და უყურებდა, როგორ აბარებდა მეტოქე ქულას.

ხალიფმანსა და ნისიპეანუს ურთიერთობათა გარკვევა სწრაფი ჭადრაკის ორ პარტიაში მოუწევთ.

**დავით გულუა**

ავტორბოლა

# აჰა, ჰა-ჰა, მილიონები!

შუმახერი, ჰაკინენი, ირვინი... ირვინი, ჰაკინენი, შუმახერი...

ფორმულა 1-ზე რომ მიდგება საქმე, დღეს მხოლოდ ამათზე თუ ლაპარაკობენ, ჰა-ჰა, ალაგ-ალაგ ერთი-ორი სხვაც ახსენონ.

ამ დროს კი...

ჯორდანელი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი (მეტსახელად ჰა-ჰა) ნელ-ნელა ერთ-ერთი უძვირესი მრბოლი ხდება. „ჯორდანში“ უმაღლესი შედეგების იმედი, აბა, ვის უნდა ჰქონდეს, მაგრამ განვლილი თერთმეტი რბოლიდან რვაში ჩასათვლელი ქულები, სულ 36 და მესამე ადგილი, ამასთან კონსტრუქტორთა პირველობაზე „ჯორდანის“ მესამე ადგილზე გამოჭიმვა ურიგო საქმე სწორედ არ გახლავთ! პროპორციულად იზრდება ფრენცენის შემოსავლებიც. „ჯორდანი“ წლიურ 6 მილიონ დოლარს უხდის, „სიმენსის“ ჯგუფის ერთ-ერთი ფირმა „ინფინეონი“ — მილიონს პერსონალურ კონტრაქტში, პლუს უფრო წვრილ-წვრილი თანხები სხვადასხვა კომპანიებისგან და ესეც თქვენი 10 მილიონი! არცთუ ცოტაა, არა? ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ ფრენცენის თანაგუნდელი დეიმონ ჰილი, წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილე ოთხი მსოფლიოს ჩემპიონიდან ერთ-ერთი, „ჯორდანს“ დღემდე მხოლოდ 6 ქულით შეეწია.

**დავით გულუა**



ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი


**იყიდება ან ქირავდება**

3-ოთახიანი ბინა, დამატებით მე-4 ოთახი, საერთო ფართი 104 კვ.მ. ბარნოვის 71. II სადარბაზო, 2/9 სართული. შესასვლელი აგრეთვე კეკელიძის ქუჩიდან (გამოდგება საოფისედ).

☎ 22-75-07 69-52-58

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსოფლიოში ყველაზე სწრაფნი და ძლიერნი სევილიის ამ ახალ სტადიონზე იასპარეზებენ



REUTERS

დიდი სამეული სევილიაში: მაიკლ ჯონსონი, მარიონ ჯონსი და მორის გრინი

# ნებიოლომ დედოფალი სევილიაში იწვია

THE IAAF WORLD CHAMPIONSHIPS IN ATHLETICS SEVILLA'99

დედოფალი თავისი მრავალრიცხოვანი ამალით, სეფექალებითა და ნაზირ-ვეზირებით სევილიაში ჩაბრძანებულა. სტუმართმოყვარე ესპანელებსაც ფართოდ გაუღიათ კარი, კარგა ხანია, დედოფლის ჩამობრძანებას ველით, ისიც ვიცით, ჩვენთან 29 აგვისტომდე დაჰყოფს. დიდებული სასახლე დავახვადრეთ, ერთი სიტყვით, მის უდიდებულესობას საკადრისად ვუმასპინძლებთო.

ალბათ, მიხვდით, რომელ დედოფალზე ვლაპარაკობთ, სპორტის სამყაროში ამ სახელით მძლეოსნობას მოიხსენიებენ. ესპანეთის ქალაქ სევილიაში კი ხვალიდან სწორედ მძლეოსანთა მეშვიდე მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. ამიტომაა, პლანეტის კუნთმაგარ და უსწრაფეს გოგო-ბიჭებს გუდ-ნაბადი რომ აუკრავთ და სევილიის გზას დასდგომიან, უმრავლესობას ანდალუზიაში უკვე ჩაუღწევია, დანარჩენებიც დღე-დღეზე ეწვევიან ესპანეთს.

IAAF-ის პრეზიდენტი, იტალიელი პრიმო ნებიოლოც, რომელიც სამი დღის წინ კიდევ ოთხი წლით აირჩიეს მძლეოსნობის მახვშად, ხელგაშლილი ხვდება თავის ამქარს, ოღონდ ნანდროლონისა და მსგავსი აღმგზნები წამლების მოყვარულთ კარი ცხვირწინ მიუჯახუნა, აქაოდა, დოპინგით გაჭყეპილთ მსოფლიოს ჩემპიონატზე არაფერი ესაქმებათო. არადა, რა ხალხს ვერ ვიხილავთ სევილიურ სარბიელზე — ხავიერ სოტომაიორი, დაგ უოლკერი, ბენ ჯონსონი, ლინფორდ კრისტი და აგერ, გუშინწინ უბერებელი მერლინ ოტიც მოიკვეთა. თუმც წლევანდელი მსოფლიოს პირველობა ვარსკვლავებს ნაღდად არ მოისაკლისებს. გამორჩეულად უნდა ვთქვათ ამერიკელებზე, რომლებიც სევილიაში უპირველეს ფავორიტებად მიიჩნევიან. მარიონ ჯონსის, მორის გრინის, მაიკლ ჯონსონის სახელები, ვფიქრობთ, მძლეოსნობის მოყვარულთ ბევრს ეუბნება.

მარიონ ჯონსს სევილიაში ოთხი ოქროს მედლის მოპოვება ამოუჭრია გულში და მის შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, ოცნების ასრულება არ უნდა გაუჭირდეს. მორის გრინი 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდსმენია, თან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მფლობელია და, ცხადია, მეტოქენი გაათკეთებული ძალით იბრძოლებენ მის წინააღმდეგ, თავად გრინი კი არაფრის დათმობას არ აპირებს და აქეთ იმუქრება — ოქროსაც არავის დავანებებ და რეკორდსაც გავაუმჯობესებო.

მაიკლ ჯონსონმა კი ახლახან მოირჩინა ტრავმა. ფორმაც აღიდგინა და 200 და 400 მეტრზე მისი დამარცხება იოლი საქმე სულაც არ იქნება.

ახლა დროა, მასპინძლებზეც ვთქვათ. სევილიელებმა მძლეოსანთა მეშვიდე მსოფლიოს ჩემპიონატისთვის საგანგებოდ ააგეს სტადიონი, თვითმხილველთა თქმით, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო. ახლა იქ გამალებული მზადებაა, ტემპერამენტიანი ესპანელები დღეს სტადიონის ტრიბუნაზე შეკრებილ საზოგადოებას ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიალის უბადლოდ ჩატარებას პირდებიან.

ხვალინდელ „სარბიელში" კვლავ დავუბრუნდებით სევილიურ ამბებს და იქ მიმდინარე მოვლენებზეც უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ, მანამდე კი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიას და სტატისტიკას გადავავლოთ თვალი.

## მსოფლიოს ჩემპიონატები

HELSINKI 1983

### ჰელსინკი. ფინეთი. 7-14 აგვისტო. 1983 წელი

მსოფლიოს რეკორდი (2) — კაცები: 4X100 მ — აშშ (ემიტ კინგი, ვილი გაულტი, კალვინ სმიტი, კარლ ლუისი) — 37,86 წმ
ქალები: 400 მ — კარმილა კრატოხვილოვა (ჩეხეთი) — 47,99 წმ

STUTTGART 1993

### შტუტგარტი. გერმანია. 13-22 აგვისტო. 1993

მსოფლიოს რეკორდი (4) კაცები: 110 მ. თარჯრბენი. კოლინ ჯექსონი (ბრიტანეთი) 12,91 წმ, 4X100 მ — აშშ (ჯონ დრუმონდი, ანდრე გასონი, დენის მიტჩელი, ლეროი ბარელი) — 37,40 წმ
ქალები: 400 მ. თარჯრბენი — სალი კინელი (ბრიტანეთი) 52,74 წმ, სამხტომი — ანა ბირიუკოვა (რუსეთი) 15,09 მ

ROME 1987

### რომი. იტალია. 28 აგვისტო — 6 სექტემბერი. 1987

მსოფლიოს რეკორდი: ქალები: სიმაღლეზე ხტომა — სტეპკა კოსტანდინოვა (ბულგარეთი) 2.09 მ
კაცები: 100 მ — ბენ ჯონსონი (კანადა) 9.83 წმ. მოგვიანებით მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ რეკორდი გააუქმა ბენ ჯონსონის მიერ დოპინგის მიღების გამო

GÖTEBORG 1995

### გიოტებორგი. შვედეთი. 4-13 აგვისტო. 1995

მსოფლიოს რეკორდი (4): კაცები: სამხტომი. ჯონათან ედვარდსი (ბრიტანეთი) 18,16 მ (პირველ ცდაზე) 18,29 მ (მეორე ცდაზე)
ქალები: 400 მ თარჯრბენი — კიმ ბატენი (აშშ) 52,61 წმ, სამხტომი — ინესა კრავეცი (უკრაინა) 15,50 მ

TOKYO 1991

### ტოკიო. იაპონია. 23 აგვისტო — 1 სექტემბერი. 1991

მსოფლიოს რეკორდი (3) კაცები: 100 მ. კარლ ლუისი (აშშ) — 9,86 წმ, სიგრძეზე ხტომა — მაიკ პაუელი (აშშ) 8,95 მ. 4X100 მ — აშშ (ანდრე გასონი, ლეროი ბარელი, დენის მიტჩელი, კარლ ლუისი) — 37,50 წმ

ATHENS 1997

### ათენი. საბერძნეთი. 2-10 აგვისტო. 1997

მსოფლიოს რეკორდი არ დამყარებულა

*აქვე გავახსენებთ ათენის მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულებს და IAAF-ის მიერ ამჟამად დამტკიცებულ მსოფლიოს რეკორდთა ნუსხასაც შემოგთავაზებთ.*

## კაცები

### ჩემპიონები

100 მ. მორის გრინი (აშშ) — 9,86 წმ
200 მ. ატო ბოლდონი (ტრინიდადი) — 20,04 წმ
400 მ. მაიკლ ჯონსონი (აშშ) — 44,12 წმ
800 მ. უილსონ კიპკეტერი (დანია) — 1.43,38 წთ
1500 მ. ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) — 3.35,83 წთ
5000 მ. დანიელ კომენი (კენია) — 13.07,38 წთ
10000 მ. ჰაილე გაბრესელასიე — 27.24,53 წთ
მარათონი. აბელ ანტონი (ესპანეთი) — 2.13.16 სთ
3000 მ. წინაღობებით. უილსონ ბოიტ კიპკეტერი (კენია) — 8:05,84 წთ
110 მ. თარჯრბენი. ალენ ჯონსონი (აშშ) — 12,93 წმ
400 მ. თარჯრბენი. სტეფან დიაგანა (საფრანგეთი) — 47.70 წმ
სიმაღლეზე ხტომა. ხავიერ სოტომაიორი (კუბა) — 2,37 მ
ჭოკით ხტომა. სერგეი ბუბკა (უკრაინა) — 6.01 მ
სიგრძეზე ხტომა. ივან პედროსო (კუბა) — 8,42 მ
სამხტომი. ელვის ხუესადა (კუბა) — 17,85 მ
ბირთვის კვრა. ჯონ გოდინა (აშშ) — 21,44 მ
ბადროს ტყორცნა. ლარს რიდელი (გერმანია) — 68,54 მ
უროს ტყორცნა. ჰაინ ვეისი (გერმანია) — 81,78 მ
შუბის ტყორცნა. მარიუს კორბეტი (ს. აფრიკა) — 88,40 მ
ათჭიდი. ტომას დვორჟაკი (ჩეხეთი) — 8837 ქ
20 კმ. სპორტული სიარული. დანიელ გარსია (მექსიკა) — 1.21.53 სთ
50 კმ. სპორტული სიარული. რობერტ კორჟენიოვსკი (პოლონეთი) — 3.44,46 სთ
4X100 მ. კანადა — 37,86 წმ
4X400 მ. აშშ — 2.56,47 წმ

### რეკორდები

მორის გრინი — ათენი. 16.06.99 — 9,79 წმ
მაიკლ ჯონსონი (აშშ) — ატლანტა. 1.08.99 — 19,32 წმ
ჰარი რეინოლდსი (აშშ) — ციურიხი. 17.08.88 — 43,29 წმ
უილსონ კიპკეტერი — კიოლნი. 24.08.97 — 1.41,11 წთ
ჰიშამ ელ გურუჯი — რომი. 14.07.98 — 3.26,00 წთ
ჰაილე გაბრესელასიე (ეთიოპია) — ჰელსინკი. 13.06.98 — 12,39,36 წთ
ჰაილე გაბრესელასიე — ჰენგელო. 1.06.98 — 26.22,75 წთ
რონალდო და კოსტა (ბრაზილია) — ბერლინი. 20.09.98 — 2.06.05 სთ
ბერნარდ ბარმასაი (კენია) — კიოლნი. 24.08.97 — 7.55,72 წთ
კოლინ ჯექსონი (ბრიტანეთი) — შტუტგარტი. 20.08.93 — 12,91 წმ
კევინ იონგი (აშშ) — ბარსელონა. 6.09.92 — 46,78 წმ
ხავიერ სოტომაიორი — სალამანკა. 27.07.93 — 2,45 მ
სერგეი ბუბკა — სესტრიერი. 31.07.94 — 6,14 მ
მაიკ პაუელი (აშშ) — ტოკიო. 30.08.91 — 8,95 მ
ჯონათან ედვარდსი (ბრიტანეთი) — გიოტებორგი. 7.08.95 — 18,29 მ
რენდი ბარნსი (აშშ) — ლოს ანჯელესი. 20.05.90 — 23,12 მ
იურგენ შულტი (გდრ) — ნიუბრანდენბურგი. 6.06.86 — 74,08 მ
იური სედიხი (სსრკ) — შტუტგარტი. 30.08.86 — 86,74 მ
იან ჟელეზნი (ჩეხეთი) — ვენა. 25.05.96 — 98,48 მ
ტომს დვორჟაკი — პრაღა. 4.07.99 — 8994 ქ
ბერნარდო სეგურა (მექსიკა) — ბერგენი. 7.05.94 — 1.17.25,6 სთ
ტიერი ტაუტაინი (საფრანგეთი) — ჰერიკოურტი. 29.09.96 — 3.40.57,9 სთ
აშშ — შტუტგარტი. 21.08.93 — 37,40 წმ
აშშ — ნიუ იორკი. 22.07.98 — 2.54,20 წთ

## ქალები

### ჩემპიონები

100 მ. მარიონ ჯონსი (აშშ) — 10,83 წმ
200 მ. ჟანა პინტუსევიჩი (უკრაინა) — 22,32 წმ
400 მ. კეტი ფრიმანი (ავსტრალია) — 49,77 წმ
800 მ. ანა კუიროტი (კუბა) — 1.57,14 წთ
1500 მ. კარლა საკრამენტო (პორტუგალია) — 4.04,24 წთ
5000 მ. გაბრიელა საბო (რუმინეთი) — 14.57,68 წთ
10000 მ. სალი ბარსოსიო (კენია) — 31.32,92 წთ
მარათონი. ჰირომი სუძუკი (იაპონია) — 2.29,48 სთ
110 მ. თარჯრბენი. ლუდმილა ენკვისტი (შვედეთი) — 12,50 წმ
400 მ. თარჯრბენი. ნეჟა ბიდუანე (მაროკო) — 52,97 წმ
სიმაღლეზე ხტომა. ჰანე ჰაუგლანდი (ნორვეგია) — 1,99 მ
სიგრძეზე ხტომა. ლუდმილა გალკინა (რუსეთი) — 7,05 მ
სამხტომი. სარკა კასპარკოვა (ჩეხეთი) — 15,20 მ
ბირთვის კვრა. ასტრიდ კუმბერნუსი (გერმანია) — 20,71 მ
ბადროს ტყორცნა. ბეატრის ფაუმუინა (ა. ზელანდია) — 66,82 მ
შუბის ტყორცნა. ტრინე ჰატესტადი (ნორვეგია) — 68,78 მ
შვიდჭიდი. საბინე ბრაუნი (გერმანია) — 6739 ქ
10 კმ. სპორტული სიარული. ანარიტა სიდოტი (იტალია) — 42.55,49 წთ
4X100 მ. აშშ — 41,47 წმ
4X400 მ. გერმანია — 3.20,92 წთ

### რეკორდები

ფლორენს გრიფიტ ჯოინერი (აშშ) — ინდიანაპოლისი. 16.07.88 — 10,49 წმ
ფლორენს გრიფიტ ჯოინერი — სეული. 29.09.86 — 21,34 წმ
მარიტა კოხი (გდრ) — კანბერა. 6.10.85 — 47,60 წმ
კარმილა კრატოხვილოვა (ჩეხეთი) — მიუნხენი. 26.07.83 — 1.53,28 წთ
ჟუ იუნშინი (ჩინეთი) — პეკინი. 11.09.93 — 3.50,46 წთ
იანგ ბო (ჩინეთი) — შანხაი. 23.10.97 — 14.28,09 წთ
ვანგ იუნპი (ჩინეთი) — პეკინი. 8.09.93 — 29.31,78 წთ
ტეგლა ლოროუპე (კენია) — როტერდამი. 19.04.98 — 2.20.47 სთ
იორდანკა დონკოვა (ბულგარეთი) — სტარა ზაგორა. 20.08.88 — 12,21 წმ
კიმ ბატენი (აშშ) — გიოტებორგი. 11.08.95 — 52,61 წმ
სტეპკა კოსტანდინოვა (ბულგარეთი) — რომი. 30.08.87 — 2,09 მ
გალინა ჩისტიაკოვა (სსრკ) — ლენინგრადი. 11.06.88 — 7,52 მ
ინესა კრავეცი (უკრაინა) — გიოტებორგი. 10.08.95 — 15,50 მ
ნატალია ლისოვსკაია (სსრკ) — მოსკოვი. 7.06.87 — 22,63 მ
გაბრიელა რაინშე (გდრ) — ნიუბრანდენბურგი. 9.08.88 — 76,80 მ
პეტრა ფელკე (გდრ) — პოტსდამი. 9.09.88 — 80 მ
ჯეკი ჯოინერ-კერსი (აშშ) — სეული. 23-24.09.88 — 7291 ქ
ნადეჟდა რიაშკინა (სსრკ) — სიეტლი. 24.07.90 — 41.56,23 წთ
გდრ — კანბერა. 6.10.85 — 41,37 წმ
სსრკ — სეული. 10.10.88 — 3.15,17 წთ

**შვედეთი**

XVII ტური

ტრელებორგი 1:2 ელფსბორგი

# ძმა!



ეს კაცი, 32 წლის ნოელ ელიოტი, სულაც არაა ხეიბარი; უბრალოდ, ახალნაოპერაციევია და ექიმები მარტოს სასეირნოდ ჯერ არ უშვებენ.

ორშაბათს ნოელმა ამოიჭრა თირკმელი, რომელიც მის ძმას, ენ-ბი-ეის ვარსკვლავს, „სან ანტონიო სფურზის“ ფორვარდ შონ ელიოტს გადაუნერგეს.

გამოჯანმრთელების გზაზე შემდგარი ძმები საჯაროდ ალაპარაკდნენ. შონმა თავის ძმის თირკმელს „სიყვარულისა და სიცოცხლის საჩუქარი“ უწოდა. ნოელმა კი, ამისთანა რა მოხდა, შეჭირვებულ ძმას დავეხმარეო და იქვე იხუმრა: „შონს მანამ არ ვაძლევდი თირკმელს, სანამ „სფურზის“ ყველა თამაშის ბილეთებს არ დამპირდა“.

იხუმრე, ნოელ, ამის სრული უფლება გაქვს: შენ ძმობის მაგალითი უჩვენე ქვეყანას!

თურმე, ძმობა მარტო იმ პატარა ქვეყანაში არ სცოდნიათ, რომელშიაც დედმამიშვილების სადღეგრძელოს განსხვავებული სასმისებით სვამენ და რომელსაც ერთადერთი წარმომადგენელი ჰყავს იმ ლიგაში, სადაც შონ ელიოტი თამაშობს.

არ გჯერათ? იხ. ნოელ ელიოტი

**კასპაროვი — მსოფლიო**



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+



# შთამომავლობა

„აი, ასე ახალგაზრდა ვიყავი, შტორმების დროს მუდამ გაურიყავი“ — წაიღიღინა 1890 წელს აგებულმა გემმა „ცამ“, როდესაც მალიორკის აკვატორიაში გვერდით ზუსტი ასლი, 1992 წელს აგებული „თეთრი ფრთები“ მიუყენეს. იმ დღეს დაიწყო რეგატა „ბარსელონის ადმირალი“, რომელშიც 14 ქვეყნის გემები შეეჯიბრნენ ერთმანეთს.



REUTERS





REUTERS

# მოჩქარეს მოუგვიანდესო



თქვენს წინაშეა იუგოსლავიის ნაკრების სულელი გულშემატკივარი, რომელმაც იხულიგნა და პოლიციას ხორვატიასთან თამაშის დაწყებამდე დააჭერინა თავი. ამ საქციელით მან არა მარტო საფეხბურთო მატჩის ხილვის სიამოვნება მოიკლო, არამედ გამოტოვა ის დიდებული წუთებიც, როდესაც ბელგრადის სტადიონზე პროჟექტორები ჩაქრა და მაშხალით გართობა გახდა შესაძლებელი.

იუგოსლაველთა და ყოფილ იუგოსლაველთა შეხვედრა 0:0 დასრულდა.



REUTERS

# ფოტოპატრული 16

*გუშინ, თბილისის დროით საღამოს 7 საათზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კალიფორნიის ქალაქ ლოს ანჯელესის უბან ჰოლივუდის „პენტეჯიზ“ თეატრში შეკრებილმა საზოგადოებრიობამ სცენაზე, შენიშნა აფრიკული წარმოშობის სამი ახალგაზრდა. ისინი საეჭვო კონვერტიდან იღებდნენ ფურცელს, რომელზეც ეწერა გაუგებარი სიტყვა „ჰა“. ახალგაზრდებმა შეკრებილთა დაჟინებული მზერა რომ შენიშნეს, ვითომც აქ არაფერიო, საზეიმო გამომეტყველება მიიღეს და კიდევ ერთი ბუნდოვანი სიტყვა „ჯუვინაილ“ წამოიძახეს.*

*ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა ინტერესი და შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომელმაც მალე გაარკვია სიმართლე. თურმე ნუ იტყვით და, „ჯუვინაილ“ მუსიკალური ჯგუფი ყოფილა, „ჰა“ მათი სიმღერა, რომელმაც „ჰიპ ჰოპის“, წლის საუკეთესო სინგლისთვის დაწესებული ჯილდო მიიღო.*

*დადგინდა ახალგაზრების ვინაობაც. ისინი აღმოჩნდნენ კალათბურთელი კრის ვებერი (მარცხნივ), მომღერალი მია და მოდელი ტაისონ ბეკფორდი.*

*საიდუმლოს ფარდა თითქოს უკვე ახდილი ჰქონდა, მაგრამ ოპერატიულ მუშაკებს საქმეში სპორტსმენისა და ტაისონის, გამოჩენამ მოსვენება არ მისცა. შემდგომმა ძიებამ დაადასტურა, რომ ხსენებული სამეულის თანამზრახველი მართლაც ყოფილა არაერთგზის ნასამართლევი მოკრივე მაიკ ტაისონი, რომელიც იმავე თეატრში იმყოფებოდა და მსახიობ შენტელთან ერთად თავისი ახალდაარსებული ჩამწერი სტუდიის „ტაისონ რეკორდზის“ წარდგენას ცდილობდა.*

*მხილებულნი მალე წარდგებიან მაყურებლის წინაშე.*


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29 ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli